საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 104 (906)
ოთხშაბათი, 8 ივნისი, 1994 წელი
ფასი [illegible] კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
## ბრძანებულება
### საპაიო-კომერციული შემნახველი ბანკის საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს წილის ნახევრის მეპაიეებისთვის განაწილების შესახებ

**საქართველოს** კომერციული შემნახველი ბანკის მეანაბრეთა სოციალური დაცვის მიზნით:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს კომერციული შემნახველი ბანკის თხოვნა, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა, სახელმწიფო ქონების მართვის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან, მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურების ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით საპაიო-კომერციული შემნახველი ბანკის საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს წილის ნახევარი თანხის მეანაბრეებისათვის განაწილების შესახებ. აღნიშნული თანხა გაუნაწილდეს იმ მეანაბრეებს, რომლებიც 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ირიცხებოდნენ (და დღესაც ირიცხებიან) მეანაბრეებად და ნებაყოფლობით ხდებიან საპაიო-კომერციული შემნახველი ბანკის დამფუძნებლები. განაწილების პრინციპი განსაზღვროს შემნახველი ბანკის ხელმძღვანელებმა.

2. მეანაბრეთა საპაიო-კომერციული ბანკის მეპაიეებად გაწევრიანება დამთავრდეს 1994 წლის 1 ივლისს.

3. საქართველოს კომერციულმა შემნახველმა ბანკმა (ი. ჩხარტიშვილი) ერთი თვის ვადაში განსაზღვროს საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო ქონების (ძირითადი საშუალებების ღირებულება და სხვა აქტივების მოცულობა) ღირებულება 1994 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შესაბამისი ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ათი დღის ვადაში დაადგინოს საპაიო-კომერციული შემნახველი ბანკის საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო ქონების, როგორც შესატანი, ისე გადასანაწილებელი წილის ღირებულება.

ე. შევარდნაძე.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
## ბრძანებულება
### ვ. ტაბლიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

**ქართულ** თეატრალურ, საოპერო და კინოხელოვნებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, კინორეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საპარლამენტო ფრაქციების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:
საპარლამენტო ფრაქციების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1994 წლის 2 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:
მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 2 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:
მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1994 წლის 2 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
## დადგენილება

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:
დაინიშნოს **ვალერიან როსტომის ძე ასათიანი** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელად.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

## ქრონიკა

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გაათავისუფლა **ლერი ვლადიმერის ძე გიგინეიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველის თანამდებობიდან საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

• • •

**საქართველოს** სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით იოსებ გოგოძე გათავისუფლდა საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

ცნობად არის მიღებული, რომ ი. გოგოძე მინისტრთა კაბინეტმა დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

## მიიღეს აშშ ელჩი

**7 ივნისს** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიკვაიძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, სხვადასხვა საკითხის მიმართ მხარეთა პოზიციების გარკვევის მიზანშეწონილობა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა წევრებიც ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო არიან. კერძოდ, ელჩი დაინტერესდა ნატოს წევრ და „პარტნიორობა მშვიდობისათვის" მოძრაობაში გაერთიანებული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე საქართველოს მოსაზრებებით ამ ორგანიზაციათა უფრო ქმედით ინსტრუმენტად ჩამოყალიბებისა და უშიშროებისათვის სახელმწიფოთა უკეთესი კოორდინაციის თაობაზე (თათბირი სტამბოლში რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართება).

## ანონსი

**საქართველოს** რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში ნაწილობრივი ორგანიზაციული ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით კინოკონცერნი „ქართული ფილმი" დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებად გადაიქმნა.

ორივე დოკუმენტი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

---

### საქართველოს პარლამენტში

# უკმარისობაში გადასული ხალვათობა

მარტივი ჭეშმარიტებაა: პარლამენტის სხდომა, რომ დაიწყოს, კვორუმია საჭირო. ამ ბოლო დროს კი პარლამენტი ხალვათობით „დაავადდა". არც გუშინდელი დღე იყო გამონაკლისი. ამიტომაც ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა სხდომის გახსნამდე განცხადებებისთვის სიტყვა მისცა დეპუტატებს. პირველი ირინა სარიშვილი მივიდა მიკროფონთან: ტელევიზიით გამოსვლის საშუალება რომ მომცემოდა, ახლა პარლამენტს ამ განცხადებით არ შევაწუხებდი, მოიბოდიშა და გამოსვლა სატელევიზიო გადაცემა „ტაიმ-აუტისადმი" საყვედურით დაიწყო.

— ავტორის გამოსვლა, თქვა მან, სხდომის ანალიზი კი არა, საზოგადოებისთვის იმის თქმა იყო, შეხედეთ, ერთმა პარტიამ — ამ შემთხვევაში ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატებმა — ჩათვალა, რომ, თვითონ უხელმძღვანელოს ისეთ მნიშვნელოვან კომისიას, როგორიცაა კორუფციისა და ორგანიზებულ დანაშაულობათა კვლევის კომისიაო. არადა, ჩვენ გარკვევით ვთქვით, რომ კომისია უნდა დაკომპლექტდეს ფრაქციებიდან (ფრაქცია ამ შემთხვევაში, არ ნიშნავს პარტიას) პროპორციული პრინციპით. იმიტომ, რომ კომისია ერთ ორგანიზაციას არ ჩავარდნოდა ხელში. იხე, ჟურნალისტს ჩემთვის რომ ეკითხა, ვიყრიდი თუ არა კენჭს ამ კომისიის თავმჯდომარის პოსტზე, დიახ ვუპასუხებდი და ამაში ცუდს არაფერს არ ვხედავ.

ქალბატონმა ირინამ, სხვათა შორის, ისიც თქვა: შევარდნაძის კრიტიკა ისეთს ვერაფერს გაუფუჭებს, რასაც კარის ჟურნალისტები ავნებენო და ამგვარი გადაცემებით საზოგადოებრივი აზრის შექმნა ვერაფერი მოსაწონიაო.

რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციით უკმაყოფილება გამოთქვა დეპუტატმა აკაკი ასათიანმა.

თენგიზ კიტოვანმა მოითხოვა რუსთავში არჩევნების ორი თვით გადადებას ვუყაროთ კენჭი, თორემ იქ ისეთი დაძაბულობაა, სიკვდილი არ მოგვყვებაო. რაზეც ვახტანგ რჩეულიშვილმა უთხრა: ეს საარჩევნო კომისიის კომპეტენციაა და ვთხოვთ ამის თაობაზე დასკვნა წარმოგვიდგინოსო.

ამასობაში კვორუმიც შეიკრიბა და ახლა იმაზე შეიქმნა „გაწევ-გამოწევა", დღის წესრიგით რომელი საკითხი განეხილათ პირველად.

და უკვე დილის სხდომის მიწურულს, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხით „საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის II კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თემურ კუპალეიშვილი გამოვიდა. საკვირველი თუ გინდათ, ეს არის! მეორე კვარტალის ბიუჯეტზე საუბარი მეორე კვარტალის მიწურულსაც ვერ მოხერხდა, რადგან ბიუჯეტის განხილვას მინისტრთა კაბინეტი უნდა ესწრებოდეს, ვერ კი ესწრებოდნენ (უმრავლესობა საზღვარგარეთ არის მივლინებით). მეორეც — დღის მეორე ნახევარშიც კვორუმი უკვე არ იყო. პარლამენტმა მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, რომელიც შეეცადა არგუმენტებით დაესაბუთებინა, რომ პარლამენტმა უნდა უარყოს კვარტალური ბიუჯეტის დამტკიცების წესი და ამ პროექტის ნაცვლად წარმოადგინოს წლის ბოლომდე დარჩენილი დროის ბიუჯეტი.

პარლამენტარმა თენგიზ სიგუამ მეორე კვარტალის ბიუჯეტის აქამდე დაუმტკიცებლობა ამ საქმისადმი კომისიების არასერიოზულ მიდგომას დააბრალა. ნონა კენჭუაშვილმა კი განაცხადა, ამგვარი ვითარება, ვფიქრობ, კარგა ხანს გასტანს და უმჯობესია, როგორც ბიუჯეტის, ისე საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მასალებისა და პროექტის წარმოდგენის ზუსტი დრო დღესვე განისაზღვროსო.

ბიუჯეტის ირგვლივ სხვა ბევრმა დეპუტატმაც ისაუბრა, რომელთა გამოსვლებშიც კრიტიკული დამოკიდებულება სჭარბობდა უფრო, რაზეც პარლამენტარმა ირაკლი ანდრიაძემ თქვა: წარმოდგენილ ბიუჯეტს რომ იწუნებთ, გასაგებია, მაგრამ ალტერნატიული თუ გაქვთ, გვითხარით და განვიხილოთო... ამის სურვილი, რა თქმა უნდა, არავის გამოუთქვამს, თუმცა, კიდეც რომ ჰქონოდათ, ვინ იყო მომსმენი, და, მით უფრო, გადაწყვეტილების მიმღები, — დარბაზში პარლამენტართა უკმარისობა იქვსის ნახევრისთვის უკვე თვალში საცემი იყო. და ცხადია, სხდომაც დროზე ადრე შეწყდა.

**რუსუდან ლორთქიფანიძე,**
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

---

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
## განკარგულება
### საქართველოში მცხოვრებ ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეების, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფის მოწესრიგების, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

**საქართველოში** მცხოვრებ ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეების, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფის მოწესრიგების, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეების, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფის მოწესრიგების, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მუდმივმოქმედი სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ირაკლი მენაღარიშვილი** — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

### კომისიის წევრები:

**ვარდენ ნადიბაიძე** — გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი,
**დავით იაკობიძე** — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი,
**ავთანდილ ჯორბენაძე** — საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი,
**ვაჟა გუჯაბიძე** — საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი,
**გიორგი კვესიტაძე** — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი,
**მურთაზ ზანკალიანი** — საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრი,
**ნოდარ ჯავახიშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი,
**ალექსანდრე ბერიძე** — პარლამენტის წევრი, გენერალ-მაიორი, საქართველოს რესპუბლიკის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

2. დაევალოს აღნიშნულ კომისიას, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს კომისიის 1994 წლის სამუშაო გეგმა და წინადადებები ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეების, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფის მოწესრიგების, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს თბილისის მერს ნ. ლეკიშვილს, ქალაქის მერიასთან შექმნას ამ საკითხების მომწესრიგებელი კომისია ვიცე-მერის ქ. კაპანაძის თავმჯდომარეობით.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და კონტროლის პალატამ შეისწავლონ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, ქალაქის მერიების, რაიონებისა და ქალაქების გამგეობების, ცალკეული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეების, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების ვეტერანებისათვის დაწესებული შეღავათების გავრცელების შესრულება.

გაწეული მუშაობის შესახებ წარმოადგინონ ინფორმაცია 1994 წლის 1 აგვისტომდე.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებთან ერთად, ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და მიიღოს დადგენილება ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეების, აგრეთვე ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებისათვის ერთიანი შეღავათებისა და გარანტიების დაწესების შესახებ.

აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულ საქართველოსათვის საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიუროს თავმჯდომარეს ი. მენაღარიშვილს, განსაზღვროს და გადაწყვიტოს საქართველოსათვის საერთაშორისო დახმარების ხაზით მიღებული ფონდებიდან ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეების, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების ვეტერანთათვის სურსათისა და მედიკამენტების გამოყოფის საკითხი.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 2 ივნისი.

---

**... წინა დღეებში თბილისში ბარბაროსულად აფეთქეს სომხური თეატრი. აშკარად ამის უშუალო აღმსრულებლებიცა და დამგეგმავებიც ერთობ ფართო მზაკვრულ მიზანს ისახავდნენ: ამ აფეთქების ტალღა ახალ პოლიტიკურ და ეთნიკურ ვნებათაღელვად აგორებულიყო და კიდევ ერთი თავსატეხი გაეჩინოდა ისედაც დენთის კასრად ქცეულ რესპუბლიკას. მაგრამ სწორედ ამით წააგეს: ხალხი უმალ მიხვდა ბინძურ ჩანაფიქრს, მიხვდა და ჯეროვანი დასკვნაც გამოიტანა.**

**მაგრამ, მოგეხსენებათ, დედაქალაქი სხვაა და პროვინცია სხვა. აქ წყალში ჩაგდებული კენჭისაგან აღძრული ჰაელი ნაპირზე ჭუჭყსა და ქაფს გარიყავს ხოლმე, არ დავმალავ, ესეც იყო ჩემი ახალციხეში მივლინების ერთ-ერთი საფანელი.**

**წინდაწინვე ვიტყვი: ჭორსა და „გატეხილ ტელეფონს" ვერ უბარტყია მესხეთში. არაერთ იქაურ სომეხ მოქალაქეს შევხვდი. მხოლოდ სინანული მოვისმინე მომხდარის გამო. ახსნა კი იმგვარივე, ზემოთ რომ ვთქვი.**

დღევანდელობა

# ადამიანებს ცოტა რამ ჰყოფნით...

### ახალციხე: პრობლემები — თითიდან გამოწოვილი და რეალური

**ახალციხის** შარლ აზნავურის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ არამ პოღოსიანმა მოკლედ მოსჭრა:

— თეატრის აფეთქების დღესვე შევიკრიბეთ და მიუკიბავ-მოუკიბავად დავასკვენით, რომ ეს იმ ადამიანების ნამოქმედარია, ვისაც ჩვენი წაკიდება სურს. ამასთან ერთიც მინდა ვთქვა: ამას წინათ პარლამენტში ერთმა დეპუტატმა ბრძანა, მესხეთ-ჯავახეთში მეორე აფხაზეთი გვემუქრებაო. დაახლოებით ასე. სხვა რაიონებზე თავს ვერ დავდებ, არ ვიცი და იმიტომ, მაგრამ ახალციხის მაგალითით კი გეტყვით — არ არის ეს მართალი, არა აქვს ამას არავითარი საფუძველი. რატომ ამღვრევენ მავანნი წყალს? ჩვენ ვიცით როგორ ვიცხოვროთ ერთად და როგორ შევინარჩუნოთ ეს თანაცხოვრება!..

იგივე გაიმეორეს გამგეობის ეკონომიკის განყოფილების გამგემ გევორქ სარქისიანმა, აბათხევის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დირექტორმა არსენ თოროსიანმა და სხვებმა.

**ცნობისათვის: ეს საზოგადოება ორიოდე თვეა, რაც რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ, არაოფიციალურად კი თითქმის წელიწადია არსებობს (ცნობილი სომხური წარმოშობის ფრანგი მომღერლის შარლ აზნავურის დედა ახალციხელი ყოფილა), მასში რაიონის თითქმის მთელი სომხური მოსახლეობაა გაერთიანებული. საზოგადოება მიზნად ისახავს ამ ძნელბედობის ჟამს თავის გასატანად თვისტომთა დახმარებას.**

**შეიძლება სიტყვა ცოტა განზე გამექცეს, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა: გული დამწყდა, როცა ეს ერთსულოვნება ათასგვარ პარტიად დაპირისპირებულ, დაჯგუფებად დაქუცმაცებულ ახალციხის ქართულ საზოგადოებრიობას შევადარე.**

საგულისხმო იყო სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსთან მეუფე სერგისთან საუბარი:

— ადამიანთა ეროვნულობის მიხედვით გამორჩევა, მით უმეტეს, დარბევა, უმძიმესი ცოდვაა. საუკეთესო დამოკიდებულება მაქვს აქაურ ებრაელებთან, გრიგორიანებთან, კათოლიკებთან. ერთმანეთს ვენდობით, გვჯერა ერთმანეთისა. იყო ასეთი შემთხვევა: ადამიანთა ერთმა ჯგუფმა სომეხთა სულიერ მოძღვარს შეურაცხყოფა მიაყენა. მისი მრევლი აღელდა, მაგრამ გადაწყვიტეს, ქართველ ეპისკოპოსს დაველოდოთო (მაშინ აქ არ გახლდით). ჩამოვედი თუ არა შეურაცხმყოფელებს ბოდიში მოვახდევინე. კონფლიქტიც ამით ამოიწურა. შარშან რაბათის უბანში კომპაქტურად მცხოვრებ ებრაელ მოქალაქეთა ძარცვა გახშირდა. ხალხი დაშინდა, მშობლიური ქალაქიდან აყრა გადაწყვიტა. მე, გამგებელმა (ნუგზარ სარჯველაძე მაშინ ახალდანიშნული იყო) და პოლიციის უფროსმა მოვიფიქრეთ როგორ აღგვეკვეთა ეს უმსგავსობა. მარტო პოლიციის ძალისხმევით ვერას გავხდებოდით — თუ არ დაიჯერ, ქურდი არ არის! თანაც პოლიცია ახლა იკრებს ძალებს, თორემ მაშინ, მოგეხსენებათ, სხვა მდგომარეობა იყო. მოლაპარაკება გავმართე სავარაუდო დამნაშავეებთან, დავმოძღვრე, შევაგონე. გამგებელმა ელექტროენერგია მუდმივად მიაწოდა რაბათის უბანს, პოლიციამ საპატრულო სამსახური გააძლიერა. ამან შედეგი გამოიღო. ადამიანებს ცოტა რამ ჰყოფნით. ყურადღება და მოფერება სჭირდებათ. ღმერთო, ჰფარავდე საქართველოს და აქ მცხოვრებ ყველა ხალხს!

არა, დღეს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემა არ დგას ახალციხეში, სხვა პრობლემები უფრო აწუხებთ, რაც საერთოდ დამახასიათებელია საქართველოს ყველა რაიონისთვის.

ამას წინათ, სამეგრელოში გახლდით. იქ ერთ ტენდენციას მივაქციე ყურადღება: საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, ასე ვთქვათ, „ფასადს" უცვლიან, ახალ თვისებრიობას მატებენ, მაგრამ სახელმწიფო სექტორს, ასე თუ ისე, ინარჩუნებენ. იმ რეგიონისთვის დამახასიათებელი ისეთი მონოკულტურისთვის, როგორიც ჩაია, ასეთი მეურნეობრიობის შენარჩუნება, ამ ეტაპზე, ალბათ, მართლაც უკეთესი ვარიანტია. სულ სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ ახალციხეში. აქ, ფაქტობრივად, მიწა თითქმის მთლიანად გლეხობას უნაწილდება. მართალია სახელმწიფო სექტორი კვლავ არსებობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სახით, მაგრამ სახნავ-სათესი მიწების 65 პროცენტი უკვე გაცემულია. დანარჩენი ჯერჯერობით ამ საწარმოებს დარჩა, მხოლოდ — რეზერვად. გლეხობასვე გადაეცა 1600 ჰექტარი ხეხილის ბაღი (1800 ჰექტრიდან), ოღონდ ეს კია, იგი ვერ უვლის ხეხილს — შხამქიმიკატებზე ხელი არ მიუწვდება (ასეთივე გასაჭირი სახელმწიფო სექტორსაც აქვს), და ხეხილი ხმება. ადრე საზოგადოებრივი მეურნეობები თიბავდა და დიდძალ მწვანე მასას იღებდა ბაღებიდან. ახლა ეს იაფი საკვები მოაკლდა ჯერ ისევ შემორჩენილ სახელმწიფო ფერმებს. ასე რომ, ყოველივე ეს დიდ ცვლილებას შეიტანს რაიონის „პროგნოზირებულ შემოსავალში".

მიწების განაწილება ოდითგან ერთ-ერთი ყველაზე რთული და აყალ-მაყალიანი პროცესი იყო სოფლად.

— ჩვენ ასეთი კურსი ავიღეთ: გამგეობა არ ერევა მიწის განაწილებაში, — მითხრა რაიონის გამგებელმა ნუგზარ სარჯველაძემ. — ეს საქმე მთლიანად ადგილობრივ კომისიებს მივანდეთ. სოფელი დიდი ოჯახია, მან უკეთ იცის — ვის რა! ჰოდა, განაწილება ძირითადად უჩხუბრად და უდავიდარაბოდ მიმდინარეობს. მხოლოდ ერთი მოთხოვნა წავუყენეთ კომისიებს — სოფლის ინტელიგენციას, მასწავლებლობას, გლეხობის თანაბრად შეუქმნან ფართობები, ნაკვეთებს ვაძლევთ ქალაქის მოსახლეობასაც — 900-დან 2500 კვადრატულ მეტრამდე, იმის მიხედვით, რომელ სოფელში როგორი შესაძლებლობაა. მიწა ხალხს ჯერჯერობით დროებით სარგებლობაში გადაეცემა, სანამ მიწის კანონი გამოვა.

**ცნობისათვის: ნუგზარ სარჯველაძე 39 წლისაა, დაამთავრა ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლა, შემდეგ — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1989 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იყო ინსტიტუტის შრომის დაცვის კათედრის გამგე. 27 ნაბეჭდი შრომისა და 2 გამოგონების ავტორია. 1991 წელს მუშაობდა ახალციხის პრეფექტის მოადგილედ. 1993 წლის თებერვლიდან გამგებელია. 1993 წლის სექტემბრის დღეებში, აქაურ მოხალისეთა რაზმთან ერთად, უკანასკნელ წუთამდე იცავდა სოხუმს. რაიონში ჰყავს ოპოზიცია, რომელიც განსაკუთრებით უკმაყოფილოა მისი საკადრო პოლიტიკით.**

**ორი** სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მონახულება მოვასწარი — სხვილისისა და აბათხევისა. ახალციხის პირობებში ორივე საკმაოდ დიდი და ხალხმრავალია.

სხვილისის საწარმო სამ სოფელს აერთიანებს: ქვემო სხვილისს, ზემო სხვილისსა და ივლიტას (პირველი მთლიანად სომხურია, მეორე — სომხურ-ქართული, მესამე — ძირითადად ქართული). ადრე იგი 450 ჰექტარ სახნავ-სათესსა და ხეხილის ბაღს ფლობდა. დღეს 80 ჰექტარი სავარგული და 16 ჰექტარი ბაღიღა დარჩა. მაგრამ კვლავ მის განკარგულებაშია მანქანა-ტრაქტორთა მძლავრი პარკი, სათიბ-საძოვრები, მეცხოველეობის ფერმა, რომელიც 1991-1992 წლებში ბრუცელოზმა დააზარალა და ახლაღა აღადგინეს.

— გაამართლა მეურნეობრიობის ახლებურ ყაიდაზე გარდაქმნამ? — ვკითხე საწარმოს დირექტორს ალიმ ძოწენიძეს.

— ხვალ რა იქნება, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთს კი თქვენც ხედავთ: საგლეხო თუ სახელმწიფო მიწის ერთი გოჯიც არ არის მოცდენილი. ხალხმა წელებზე ფეხი დაიდგა, ყველა თავდაუზოგავად მუშაობს. დამთავრდა ის დრო, როცა მეურნეობისგან იაფად შეეძლოთ შეეძინათ პირნახული, ან სულაც ხელს გაეყოლებინათ. ახლა იციან, რომ მიწაც და მოსავალიც მათია და დღე-ღამეს ასწორებენ. მე მგონი, სოციალიზმის მთავარი პრინციპი „ვინც არ მუშაობს, არ ჭამს", სწორედ ამაზეა მორგებული.

იმ დღეს მზე გვარიანად აცხუნებდა, მაგრამ მყუდროზე წამოწოლილი კაცი არც სხვილისში და არც აბათხევში არ მინახავს. ცოლიან-შვილიანად გაკრეფილიყვნენ ნაკვეთებში, ვინ — თესავდა, ვინ — ნათესს თოხნიდა. წლეულს გლეხობას ბევრი შეღავათიც ეძლევა; არც დამატებული მიწის რენტას იხდის და არწყვაც უფასოდ ექნება.

აბათხევის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დირექტორი, გორის ეკონომიკის ინსტიტუტის სტუდენტი არსენ თოროსიანი სულ 23 წლის ჭაბუკია, მაგრამ უკვე მეორე წელიწადია რაც ხელმძღვანელად მუშაობს, მას შემდეგ, აბათხევის, ჭუგინსა და წინუბნის (სამივე სუფთა სომხური სოფელია) სახელმწიფო მეურნეობები ერთ საწარმოდ რომ გაერთიანდა. 120 ჰექტარი ყველაზე ნაყოფიერი მიწა უკვე დაურიგდა გლეხობას, დანარჩენ 180 ჰექტარს, ჯერჯერობით, კვლავ საწარმო ამუშავებს (აქედან 39 ჰექტარი ყამირი გატეხეს წლეულს), სათესლე ხორბალი, ქერი, შვრია, ერთწლიანი ბალახები და კარტოფილი უთესია. (ერთი კია, თუ ადრე კარტოფილი ჭარბობდა, ახლა მარცვლეულს ენიჭება უპირატესობა), დაუზიანებლად შეინარჩუნეს დიდძალი ტექნიკა (ის კი არა, ერთი ავტომანქანა შემოიმატეს კიდეც — ქუთაისში... კომბოსტოზე გადაცვალეს). ამ საწარმომ შარშან მოსავლიანობით ყველას აჯობა ახალციხეში და 300 მილიონი კუპონის მოგება მიიღო.

მოვლენათა მსვლელობა თუ ასე გაგრძელდა, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სექტორი, ალბათ, 10-15 წელიწადში კიდევ იბოგინებს, მის ხელთ ამჟამად არსებული მექანიზაციის, სათიბებისა და საძოვრების გამოყენებით, ვარაუდობენ ახალციხეში.

ღმერთმა იცის, რა მოხდება ხვალ, ჩვენს არეულ დროში ძნელია გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება. საერთოდ გაამართლებს წვრილგლეხურ მეურნეობრიობაზე დაბრუნება? 10-15 წლის შემდეგ ისეთ მცირემიწიან რაიონში, როგორიც ახალციხეა, დემოგრაფიული მატების შესაბამისად, ძალზე მწვავედ ხომ არ დადგება მიწის საკითხი? ან, ესეც ხომ საფიქრალია: 0,5-0,8 ჰექტარამდე შევსებული ნაკვეთი დღეს კი ჰყოფნის ოჯახს გამოსაკვებად.

(დასასრული მე-8 გვ.)

---

## მერვე სვეტი

### გაიხსნება განყოფილება

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობის ახალი ფაზის დაწყება საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავაღრმავოთ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, გაიხსნება რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის სანქტ-პეტერბურგის განყოფილება, რომელიც სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით იმუშავებს.

### ელჩი გაემგზავრა

**7 ივნისს** თბილისიდან გაემგზავრა იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში ფედერიკო დი რობერტო. წინა დღით მან რწმუნების სიგელები გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

რესპუბლიკაში ყოფნის დროს ელჩი მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ, თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა. ბატონი ფედერიკო დი რობერტო გაეცნო ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იწვია მცხეთას.

### შამილის ქუჩა... სოხუმში?!

**რამდენიმე** დღის წინათ აფხაზმა სეპარატისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება სოხუმის თარხნიშვილის ქუჩას უწოდონ იმამ შამილის — მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის წინააღმდეგ მეომარ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა წინამძღოლის ქუჩა.

და ეს, სხვათა შორის, პირველი შემთხვევა როდია, როცა აფხაზთა ხელისუფალნი ცდილობენ, მოსპონ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ქართველ მეცნიერთა, კულტურის, საზოგადო მოღვაწეთა სახელებთან, რომლებმაც წვლილი შეიტანეს სამამულო და მსოფლიო კულტურის განვითარებაში, ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში. თუმცა, საკვირველი რა არის — სეპარატისტებს ხომ სურთ, აღმოფხვრან ყველაფერი ქართული დღევანდელ აფხაზეთში.

### ვულოცავთ კოლეგას!

**ქვემო** ქართლში აქტიური ჟურნალისტური მოღვაწეობისა და მორალურ-ეთიკურ თემებზე რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების სერიისათვის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმმა ფედერაციის პრემიით დააჯილდოვა ჟურნალისტი პეტმარ აბაიშვილი.

---

**ივანე** ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაარსების 75-ე წლისთავის აღნიშვნის დღეებში მიიღო მრავალი მილოცვა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, დაწესებულებებიდან, პიროვნებებისაგან, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებიდან, ცნობილი კოლეგებისაგან; ჩვენ სისტემატურად ვგრძნობდით დიდ მხარდაჭერას, იმას, რომ უნივერსიტეტის იუბილე სრულიად საქართველოსთვის ჭეშმარიტი ეროვნული დღესასწაული იყო. ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი ზეიმი და თანადგომა გაგვიწია, გულითად მადლობას მოგახსენებთ.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი.**

# გვილოცავენ დღესასწაულს

## მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს

**თქვენო** აღმატებულებავ,

მინდა გულწრფელად მოგილოცოთ თქვენ და საქართველოს მთავრობას და ხალხს თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე. მინდა ასევე ვისარგებლო შემთხვევით და გამოვთქვა იმედი, რომ მსოფლიოში არსებული პრობლემების ფონზე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლავაც მხარს დაუჭერს თქვენს ქვეყანას. იმისათვის, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ მიაღწიოს ქარტიის მშვიდობის მიზნებს, სამართლიანობას და იმ კეთილდღეობას, რისკენაც ასე ისწრაფვიან მსოფლიოს ხალხები, საჭიროა წევრი ქვეყნების მუდმივი მხარდაჭერა.

გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი დიდი პატივისცემა.

**ბუტროს-ბუტროს გალი,**
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

## მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს

**თქვენო** აღმატებულებავ, ჭეშმარიტად ბედნიერად ვთვლი თავს, რომ გიგზავნით მეგობრულ მოლოცვას, მიძღვნილს თქვენი სამშობლოს ეროვნული დღესასწაულისადმი.

პირადად თქვენ გისურვებთ კარგ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, აგრეთვე ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებას პროგრესისა და ცივილიზაციის აყვავების მიზნით.

**მუჰამედ ჰოსნი მუბარაქი.**

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს

**პატივცემულო** ედუარდ ამბროსის ძევ!

გულითადად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს.

გისურვებთ თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ბედნიერებასა და კეთილდღეობას, წარმატებებს ქვეყნის სტაბილურობისა და აყვავების მიღწევის საქმეში.

გულწრფელი პატივისცემით,

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელი მდივანი
**ივანე კოროტჩენია.**

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

**საქართველოს** რესპუბლიკის სახელმწიფო დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეთა და თანამემამულეებთან ურთიერთობის საქმეთა კომიტეტის სახელით გილოცავთ თქვენ და რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს.

დარწმუნებული ვართ, რომ საუკუნეებით შემოწმებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის, ეროვნების მიუხედავად ყველა მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა უთუოდ დაცვის საფუძველზე, ჩვენი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებით. გისურვებთ მშვიდობას, სტაბილურობას, კეთილდღეობასა და აყვავებას.

პატივისცემით,

სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეთა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე
**კ. თ. ზატულინი.**

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ე. ა. შევარდნაძეს

**პატივცემულო** ედუარდ ამბროსის ძევ!

სომხეთის, ბელარუსის, მოლდოვის, რუსეთის ფედერაციის, ტაჯიკისტანის, უზბეკისტანის, ყაზახისტანისა და ყირგიზსტანის გამაერთიანებელი პროფკავშირების პროფკავშირთა საყოველთაო კონფედერაციის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ და საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებსა და ყველა ხალხს ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს.

დიდად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წარმატებებს თქვენს უაღრესად ძნელ საქმიანობაში ქართულ მიწაზე სოციალური სტაბილურობის, საზოგადოებრივი თანხმობისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად.

პროფკავშირთა საყოველთაო კონფედერაციის თავმჯდომარე
**ვ. პ. შჩერბაკოვი.**

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

**გთხოვთ** მიიღოთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით. ვუსურვებდი თქვენს ხალხს პროგრესს იმ პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების დაძლევაში, რომლებიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში წარმოიშვება ხოლმე. იმედი მაქვს, რომ ლიტვასა და საქართველოს შორის შემდგომი მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები სასარგებლო იქნება ორივე ქვეყნისათვის. გისურვებთ, თქვენო აღმატებულებავ, ჯანმრთელობას და ქართველი ხალხის მშვიდობიან განვითარებას.

**ალგირდას ბრაზაუსკასი,**
ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ ოთარ ფაცაციას

**პატივცემულო** ბატონებო,

დაღესტნის რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მინისტრთა საბჭო თავიანთი ხალხების სახელით გილოცავთ თქვენ და მთელ მეგობარ ქართველ ხალხს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის ეროვნულ დღესასწაულს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხებისა და რესპუბლიკების ტრადიციული მეგობრობა და კეთილმეზობლობა კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება. გისურვებთ, პატივცემულო ბატონებო, წარმატებებს თქვენს მუშაობაში, მშვიდობასა და აყვავებას ვუსურვებთ ქართველ ერს.

პატივისცემით,

დაღესტნის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**მ. მაგომედოვი,**

დაღესტნის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ა. მირიაბეკოვი.**

## საქართველოს რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს

**საბერძნეთის** მოსკოვის საელჩო ადასტურებს თავის პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსადმი და აქვს პატივი გაახლოთ საბერძნეთის რესპუბლიკის ბატონ კ. კარამანლისის მოსალოცი წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ე. შევარდნაძისადმი, რათა იგი გადასცეს დიდად პატივცემულ ადრესატს.

საბერძნეთის საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა საქართველოს საელჩოს დაუდასტუროს, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემს მას.

მოსკოვი, 1994 წლის 25 მაისი.

---

# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## იჯარის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1. იჯარის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 15 ივნისიდან.
2. იჯარის შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე შეჩერდეს სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემა.
3. საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისიამ მინისტრთა კაბინეტთან ერთად ორი კვირის ვადაში აღნიშნული კანონის შესაბამისად, შეიმუშაოს და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს დადგენილების პროექტი სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ.
4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უმოკლეს ვადაში წარმოუდგინოს პარლამენტს შესაბამისი წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შესატანად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

---

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# იჯარის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკაში საიჯარო ურთიერთობას აწესრიგებს საკუთრების უფლების კანონი, ეს კანონი და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

წინამდებარე კანონი ადგენს საიჯარო ურთიერთობის ობიექტებს და სუბიექტებს, მათი უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძვლებს და განხორციელების პრინციპებს.

**მუხლი 1. იჯარა.**

იჯარა არის ხელშეკრულების საფუძველზე მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსების, საწარმოს, მისი სტრუქტურული ერთეულის, შენობა-ნაგებობის, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებისა და სხვა მატერიალური ფასეულობის ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობა და სარგებლობა სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისა და კანონით გათვალისწინებული სხვა მიზნისათვის.

**მუხლი 2. იჯარის ობიექტები.**

იჯარა დაშვებულია საქმიანობის ნებისმიერ დარგში და ნებისმიერი ქონების მიმართ (საკანონმდებლო აქტებით აკრძალულის გარდა) და საკუთრების ფორმის განურჩევლად.

**მუხლი 3. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების იჯარა.**

მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე საიჯარო ურთიერთობას აწესრიგებს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ნორმატიული აქტები.

**მუხლი 4. საიჯარო ურთიერთობის სუბიექტები.**

იჯარით ქონების გამცემი (მეიჯარე) შეიძლება იყოს მესაკუთრე ან მისგან უფლებამოსილი პირი.

იჯარით ქონების ამღები (მოიჯარე) შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, ფიზიკურ პირთა ჯგუფი ან იურიდიული პირი.

საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) მუშაკებს სხვა თანაბარ პირობებში აქვთ ამ საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) ქონების იჯარით აღების უპირატესი უფლება.

უცხოეთის სახელმწიფოების, იურიდიული პირებისა და მოქალაქეების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ ქონების იჯარით აღების თავისებურებანი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

**მუხლი 5. საიჯარო ხელშეკრულება.**

საიჯარო ხელშეკრულება მეიჯარისა და მოიჯარის საიჯარო ურთიერთობის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც იდება ნებაყოფლობისა და მხარეთა თანხმობის საფუძველზე, განსაზღვრული ვადით, წერილობითი ფორმით, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იჯარით გამცემს უფლება აქვს საიჯარო ხელშეკრულების დადებისას გამოიყენოს კონკურსისა და აუქციონის წესიც.

საიჯარო ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს: ქონების ღირებულება და შედგენილობა, ქონებით სარგებლობის მიზანი, იჯარის ვადა, საიჯარო ქირის ოდენობა და გადახდის წესი; მხარეთა უფლება-მოვალეობები, საიჯარო ქონების გადაცემისა და იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ქონების დაბრუნების პირობები.

**მუხლი 6. საიჯარო ქირა.**

იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისთვის მოიჯარე იხდის საიჯარო ქირას. საიჯარო ქირის ოდენობა და მისი გადახდის წესი განისაზღვრება საიჯარო ხელშეკრულებით.

საიჯარო ქირის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ქირის ოდენობის შეცვლა რეგულირებადი სახელმწიფო ფასების, ტარიფების, გადასახადების ან ამორტიზაციის ნორმების შეცვლისას, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საიჯარო ქირის გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს კანონით გათვალისწინებული გადასახადებისაგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და საიჯარო ხელშეკრულებით.

**მუხლი 7. მოიჯარისთვის ქონების გადაცემა.**

მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს იჯარით გაცემული ქონება გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

მეიჯარე პასუხს არ აგებს იჯარით გაცემული ქონების ზიანისთვის, რომელიც მოიჯარეს ამცნო ხელშეკრულების დადებისას.

თუ მეიჯარე დროულად არ გადასცემს მოიჯარეს იჯარით გაცემულ ქონებას, მოიჯარეს უფლება აქვს, მოითხოვოს მისთვის ქონების გადაცემა და ქონების გადაცემის დაგვიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება, ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

**მუხლი 8. საიჯარო ქონების გაცემა ქვეიჯარით**

მოიჯარეს უფლება აქვს იჯარით აღებული ქონება ან მისი ნაწილი ქვეიჯარით გასცეს მეიჯარის თანხმობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით ან საიჯარო ხელშეკრულებით. მაგრამ საიჯარო ხელშეკრულებისათვის პასუხისმგებლობა მეიჯარის მიმართ კვლავ მოიჯარეს ეკისრება.

მოიჯარეს უფლება აქვს, იჯარით გასცეს იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობანი.

**მუხლი 9. იჯარით აღებული ქონების გამოყენება და მოვლა.**

მოიჯარე ვალდებულია გამოიყენოს იჯარით აღებული ქონება ხელშეკრულებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად.

მოიჯარე ვალდებულია მოუაროს იჯარით აღებულ ქონებას.

მეიჯარე ვალდებულია თავისი ხარჯით შეაკეთოს იჯარით გაცემული ქონება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით ან საიჯარო ხელშეკრულებით. თუ მეიჯარე დაარღვევს ამ ვალდებულებას, მოიჯარეს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან აუცილებელი შეკეთება და მოითხოვოს მეიჯარისაგან შეკეთების ღირებულების ანაზღაურება ან დაფაროს იგი საიჯარო ქირის ხარჯზე.

მეიჯარეს უფლება აქვს დაათვალიეროს იჯარით გაცემული ობიექტი, რაც წინასწარ უნდა შეატყობინოს მოიჯარეს.

**მუხლი 10. საიჯარო ქონების საკუთრების უფლება.**

იჯარით გაცემული ქონება რჩება მეიჯარის საკუთრებაში; მოიჯარე დამოუკიდებელია თავის სამეურნეო საქმიანობაში.

საიჯარო ქონების გამოყენებით შექმნილი პროდუქცია და შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლის ხარჯით შეძენილი ქონება ეკუთვნის მოიჯარეს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით ან საიჯარო ხელშეკრულებით.

იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე მეიჯარის თანხმობით მოიჯარის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი ეკუთვნის მეიჯარეს, თუ საიჯარო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ამ შენობა-ნაგებობათა ღირებულების ანაზღაურება.

იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე მეიჯარესთან შეუთანხმებლად მოიჯარის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი მეიჯარეს ეკუთვნის.

მოიჯარის საკუთრებაა მთელი ის გაუმჯობესებანი, რომლებიც მან მოახდინა საკუთარი და სხვა სახსრებით და რომელთა გამოყოფა შეიძლება იჯარით აღებული ქონების დაუზიანებლად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით საკუთარი და მასთან გათანაბრებული სახსრებით მოახდინა ისეთი გაუმჯობესებანი, რომელთა გამოყოფა იჯარით აღებული ქონების დაუზიანებლად შეუძლებელია, მეიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ მოიჯარეს აუნაზღაუროს განუყოფელ გაუმჯობესებათა ღირებულება. ხოლო იმ განუყოფელი გაუმჯობესების ღირებულება, რომელიც მოიჯარემ მეიჯარის უნებართვოდ მოახდინა, არ ანაზღაურდება.

**მუხლი 11. საიჯარო ქონების გამოსყიდვა.**

საიჯარო ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოსყიდვის პირობები.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევები და პირობები.

**მუხლი 12. საიჯარო ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და გაუქმება.**

საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ, გააგრძელონ მისი მოქმედების ვადა ან განაახლონ ხელშეკრულება საიჯარო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

ხელშეკრულების განახლებისას ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეიძლება შეიცვალოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მოქმედი კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, თუ გავიდა იჯარის ვადა, საიჯარო ქონება განადგურდა, აღარ გამოდგება გამოსაყენებლად ან მოიჯარემ მთლიანად გამოისყიდა საიჯარო ქონება.

საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე გაუქმდეს მხარეთა შეთანხმებით. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თუ მოიჯარე გაკოტრდა, ქონების გამყიდველი პირი ვალდებულია წინასწარ მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება.

მეიჯარეს უფლება აქვს, მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ მოიჯარე:

— დანიშნულებისამებრ არ იყენებს საიჯარო ქონებას და არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

— განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს ქონების მდგომარეობას;

— არ იხდის საიჯარო ქირას ვადის გასვლიდან სამი თვის განმავლობაში, თუ განსაზღვრული არ არის საიჯარო ხელშეკრულების სხვა ვადა;

— არ შეაკეთებს ქონებას, როდესაც ეს ევალება საიჯარო ხელშეკრულებით.

მოიჯარეს უფლება აქვს, მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ:

— მეიჯარე არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს ქონების შეკეთების, მატერიალური რესურსებით, მათ შორის მოწყობილობითა და დანადგარებით მოიჯარის უზრუნველყოფის მხრივ;

— საიჯარო ქონება გამოუსადეგარი გახდება იმ გარემოებათა გამო, რომლებისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება;

— მოიჯარის დაინვალიდების, არაქმედუნარიანად ცნობის ან იმ შემთხვევაში, როდესაც მას ჩადენილი დანაშაულის გამო მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ან სხვა სასჯელი, რომლის გამოც შეუძლებელია საიჯარო ხელშეკრულების შესრულება. ამ შემთხვევაში, ახალი საიჯარო ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლება აქვთ მოიჯარესთან ერთად მცხოვრებ ან მომუშავე ოჯახის წევრებს.

საიჯარო ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და გაუქმება ხდება წერილობითი ფორმით.

**მუხლი 13. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედება მესაკუთრის შეცვლის ან მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში.**

საიჯარო ქონების საკუთრების უფლების გადასვლა მეიჯარისგან სხვა პირზე საიჯარო ხელშეკრულების პირობების შეცვლის ან მისი გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

მესაკუთრის მიერ უფლებამოსილი მეიჯარე იურიდიული პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი უფლებები და მოვალეობები გადადის მის უფლებამონაცვლეზე, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები გადადის მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრზე, თუ იგი თანახმაა გახდეს მოიჯარე და თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მეიჯარეს უფლება არა აქვს, უარი უთხრას ასეთ პირს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გადაცემაზე მოქმედი ხელშეკრულების დარჩენილ ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო მოიჯარის პირადი თვისებებით და ეს ასახულია ხელშეკრულებაში.

**მუხლი 14. მეიჯარისთვის ქონების დაბრუნება.**

საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო ქონება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

თუ მოიჯარემ გააუარესა საიჯარო ქონების მდგომარეობა, მან უნდა აუნაზღაუროს მეიჯარეს მიყენებული ზარალი.

**მუხლი 15. იჯარის პერიოდში წამოჭრილი სადავო საკითხების განხილვა.**

იჯარის პერიოდში მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულების შესრულების, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე წამოჭრილ სადავო საკითხებს განიხილავს და წყვეტს სასამართლო.

**მუხლი 16. მოიჯარის ქონებრივ უფლებათა დაცვა.**

მოიჯარის უფლებები საიჯარო ხელშეკრულებით აღებულ ქონებაზე დაცულია მესაკუთრის ტოლფასი უფლებით. მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარით აღებული ქონების დაბრუნება ნებისმიერი უკანონო მფლობელობიდან; ქონებით სარგებლობის ყოველგვარი დაბრკოლების აღმოფხვრა და ქონებისადმი მიყენებული ყოველგვარი ზარალის ანაზღაურება.

**მუხლი 17. საიჯარო ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა**

თუ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი არ სრულდება ან სათანადოდ არ სრულდება, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ან ხელშეკრულების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
**ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

---

განსჯა

# უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები

**ასეა** ყოველთვის, ახალი ხელისუფლების იმედი აქვს მოსახლეობას, გაცილებით მეტს მოითხოვს მისგან. დღეს კი, როცა ქვეყანა, ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, პოლიტიკური ქაოსისა და ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის ხელყოფის, კრიმინალურ-მაფიოზურ დაჯგუფებათა თარეშის, კორუფცია-მექრთამეობისა და ეკონომიკური გაჩანაგების ხანაშია, ბუნებრივია, სოციალური მდგომარეობაც უკიდურესად დაძაბულია. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დარჩენილია სიღატაკის ზღვარს მიღმა. სოციალური დაცვის სფეროში სათანადო ღონისძიებათა გატარება ვერ ხერხდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ვდგევართ სოციალური აფეთქების რეალური საფრთხის წინაშე. მოგეხსენებათ, სოციალურ პოლიტიკას ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს.

საქართველო გაწევრიანდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკსა და სხვა მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რაც თავისთავად ხელშემწყობი ფაქტორია ჩვენი ეკონომიკის ინტეგრირებისა და ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისა. ამასთან, 1992 წლის 4 მაისს მთავრობამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ, გარკვეულწილად შეიქმნა სახელმწიფო სექტორი, შემუშავდა ქონების პრივატიზაციის პროგრამა. (მის ავკარგიანობაზე აქ არაფერს ვამბობ) სამთავრობო დონეზე გაფორმდა არაერთი ხელშეკრულება, საქართველო გაწევრიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, რასაც უნდა მოჰყოლოდა ან უნდა მოჰყვეს გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირების აღდგენა.

ობიექტურობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ გარდა გარეშე ფაქტორებისა, ეკონომიკის ფუნქციონირებაზე უარყოფით გავლენას დესტრუქციული ძალებიც ახდენენ. მხედველობაში მაქვს ის დრო, როცა რეალურად გვემუქრებოდა სამოქალაქო ომის საფრთხე, დივერსიები, საბოტაჟი, ენერგეტიკული ბლოკადა. მეორეს მხრივ, წარმოების კატასტროფულმა დაცემამ, არაპროგნოზირებადმა ინფლაციამ, სახელმწიფო ბიუჯეტის დიდმა დეფიციტმა (რამაც თავისთავად გამოიწვია რესურსების მწვავე დეფიციტი, სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებაზე ფასების განუხრელი ზრდა, სავაჭრო ბიზნესის ცალმხრივი განვითარება და შეაფერხა სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება აუცილებელი საჭირო საქონლით) ხელი შეუწყო სოციალურ დაძაბულობას. დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ, არაა ძნელი იმის თქმა, რომ ვერ მოხერხდა საგანგებო ღონისძიების გატარება ეკონომიკის პარალიზების თავიდან აცილების, ერთგვარი სტაბილიზაციისა და შემდგომ პერიოდში კრიზისიდან გამოსვლის უზრუნველსაყოფად.

ფაქტი ერთია: მოცემულ მომენტში რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს მიღმაა დარჩენილი. აპრილის თვისთვის საშუალო ოჯახის სიღატაკის ზღვარმა ოფიციალური მონაცემებით 26 მლნ კუპონს გადააჭარბა, სამომხმარებლო კალათის ღირებულებამ ერთ კაცზე 1,7 მლნ კუპონს, ფაქტობრივად მინიმალური ხელფასი კი ნორმატიულის 1 პროცენტს ფარავს.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პენსიონერები (მოქმედი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს 1,5 მლნ ადამიანს, მათ შორის 200 ათასზე მეტი ფუნქციაშეზღუდული პირია. ამ კატეგორიის 25 ათასამდე ბავშვი, 15 ათასამდე მარტოხელა), მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც გარდა პენსია-დახმარებებისა სხვა დამატებითი შემოსავლის წყარო არა აქვთ, ლტოლვილები. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულების ოჯახის წევრთა და მებრძოლთა, მოხალისეთა და, საერთოდ, სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური ყოფა.

წარმოების ტემპების დაცემის კვალობაზე განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო დასაქმების პრობლემამ. უკიდურესად მძიმეა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეების მდგომარეობა, აღარაფერს ვამბობთ სტიქიითა თუ სხვა უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულთა შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლება — როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი — ვალდებულია რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება, განსაზღვროს ამა თუ იმ სფეროში პრიორიტეტული მიმართულებანი, შეიმუშაოს კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა, მისი რეალიზაციის გეგმა, უზრუნველყოს სამართლებრივი ბაზის მომზადება და ორგანიზაციული მექანიზმის შექმნა.

სოციალურ საკითხთა კომისიას პირველ რიგის ამოცანად მიაჩნია საქართველოს პარლამენტის დადგენილების ცხოვრებაში რეალურად გატარება, კუპონის კურსის ხელსაყრელი რეჟიმის შემუშავება და მის მიმოქცევასთან და განმტკიცებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის მკაცრი „ადმინისტრაციული სანქციების შემოღება, რასაც აგრეთვე ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა".

— მოსახლეობის პირველადი და აუცილებელი პროდუქტებით, აგრეთვე სანიტარიულ-ჰიგიენური საქონლით უზრუნველყოფისათვის გამონახოს საშუალება არსებული შიდა და გარე რეზერვების ამოქმედებლად.

— სოციალურად ყველაზე ნაკლებადუზრუნველყოფილი ფენებისათვის (პენსიონერები, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები) პენსიებისა და სხვა გასაცემლების მინიმალური ოდენობის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ თანხების საცხოვრებელ მინიმუმამდე მიახლოებას.

— განისაზღვროს იმ პირთა კატეგორია, რომლებიც საჭიროებენ ტრანსპორტით სარგებლობას, კომუნალურ მომსახურებასა და სხვა სახის შეღავათების მინიჭებას.

ხოლო კომისიამ საგაზაფხულო სესიის დამთავრებამდე, 1994 წლის იანვარ-ივნისის კალენდარული სამუშაო გეგმის მიხედვით, პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს კანონპროექტები პენსიების, ლტოლვილთა და ხიზანთა სტატუსის, ინვალიდთა სოციალური დაცვის, ვეტერანთა შესახებ. კომისიას მომზადებული აქვს აგრეთვე კანონპროექტი დედათა და ბავშვთა სოციალური დაცვის შესახებ. რაც შეეხება კანონს დასაქმების შესახებ, მასზე მუშაობდა ეკონომიკურ საკითხთა კომისია, გვაქვს ჩვენი შენიშვნები და წინადადებები და ჩვენი კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე პოზიციათა შეჯერების შემდგომ ის განსახილველად წარედგინება დეპუტატთა კორპუსს.

ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ ჩამოთვლილ კანონპროექტებს ემატება კანონები „კოლექტიური ხელშეკრულებების და შეთანხმებების" და „კოლექტიური დავების გადაწყვეტის შესახებ", რომელთა მიღება უდავოდ საშური საქმეა.

დაბოლოს, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ გართულებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსა და ხელისუფლების სხვა რგოლების კონსტრუქციული თანამშრომლობა შესაძლებელს გახდის არსებული პრობლემების რეგულირებისკენ მიმართულ საქმიანობას და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, რაც მოსახლეობის სოციალური დაცვის რეალური საფუძველი და გარანტია.

**ზაზა სიხარულიძე,**
საქართველოს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

---

# მაღალი ჯილდო — გეოფიზიკოსებს

**საქართველოს** რესპუბლიკის წლევანდელი სახელმწიფო პრემია მიენიჭა შრომათა ციკლს „გეოფიზიკური, გეოლოგიური და საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტის გრავიმეტრიული მეთოდების დამუშავება და რეალიზაცია", 1978-1992 წლები. შრომების ავტორები არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, აკადემიკოსები მერაბ ალექსიძე და ბენედიქტე ბალავაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ აბაშიძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები კარლო ქართველიშვილი და კონსტანტინე ქართველიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ შენგელაია. ექვსი მეცნიერის მრავალწლიანი კვლევა-ძიების შედეგები რვა მონოგრაფიაში აისახა, რომლებმაც ხსენებული ციკლი შეადგინეს.

სპეციალისტთა აზრით, ფართოდ ცნობილი ქართული გრავიმეტრიული სკოლის წარმომადგენელთა შრომები თვალსაჩინო წვლილია არა მარტო გეოფიზიკურ, არამედ გეოლოგიურ მეცნიერებათა დარგების განვითარებაში. მათი ფუნდამენტური, მეთოდური თუ სახალხო-სამეურნეო კვლევიდან მხოლოდ რამდენიმე მომენტს გამოვყოფთ: შესწავლილია კავკასიის რეგიონისა და მოსაზღვრე ზღვების აუზების გრავიტაციული ველი; აგებულია დედამიწის ახალი ელიფსოიდური პლანეტური სიმკვრივული მოდელი და გამოთვლილია ნორმალური გრავიტაციული ველის პარამეტრები; შექმნილია გრავიმეტრიული მონაცემების ბანკი, დამუშავებულია ალგორითმები და პროგრამები სხვადასხვა გეოლოგიური და გეოფიზიკური პრაქტიკული ამოცანის ამოსახსნელად; თბილისში მოწყობილია მიწისქვეშა მიმოქცევითი ლაბორატორია, სადაც თანამედროვე მეთოდებით ისწავლება მთვარე-მზის მიზიდულობით გამოწვეულ სიმძიმის ძალის, დედამიწის დაჭიმვისა და დეფორმაციების ცვლილებები დროში; ენგურჰესის რაიონში დადგენილია დედამიწის ქერქის დეფორმაციული ხასიათი ტექტონიკურ და ტექნოგენურ პროცესებთან დამოკიდებულებაში და შემუშავებულია რეკომენდაციები უნიკალური ნაგებობების უსაფრთხო ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად (გეოფიზიკოსთა ბრალი როდია, რომ ჩვენს დროში კატაკლიზმებმა ენგურჰესს სულ სხვა მხრიდან შეუქმნა საფრთხე... — თ. ე.).

შრომების ციკლის პრაქტიკული შედეგები წარმატებით დაინერგა კოლის გეოლოგიის ინსტიტუტში 1979 წ.), რუსეთის გეოფიზიკური ინსტიტუტის სამხრეთის განყოფილებაში (ბაქო, 1985 წ.), უზბეკეთის გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში (ტაშკენტი, 1986), ენგურჰესის მშენებლობაზე (1978-1992 წ. წ.).

საგულისხმოა ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შეფასება: გეოფიზიკოსთა ნაკვლევი უშუალო გამოყენებას ჰპოვებს საერთოდ გეოლოგების ყოველდღიურ მუშაობაში და კერძოდ, წიაღისეულ სასარგებლო ნამარხთა ძიებისა და რეგიონის სეისმური დარაიონების საქმეში.

გეოფიზიკოსთა დამსახურებული საპატიო ჯილდო, რასაკვირველია, მთელი ჯგუფის თავდადებული გარჯის ნაყოფია, მაგრამ თავს ნებას ვაძლევ ცალკე ვთქვა შარშან ტრაგიკულად დაღუპულ აკადემიკოს მერაბ ალექსიძის ღვაწლზე (ბატონი მერაბი აკადემიკოს ბენედიქტე ბალავაძესთან ერთად გეოფიზიკის ინსტიტუტისაგან შრომათა ციკლის ხელმძღვანელად იყო წარდგენილი პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში): მერაბ ალექსიძე უძღვებოდა დედამიწის სიღრმეული აგებულების შესწავლის გრავიმეტრიული მეთოდების [illegible] დაკავშირებულ სამუშაოებს. იგი უშუალოდ მონაწილეობდა დედამიწის ახალი ელიფსოიდური პლანეტური მოდელის შექმნაში. შრომათა ციკლის თემატიკაზე გამოქვეყნებული ჰქონდა 6 მონოგრაფია და 50-ზე მეტი მეცნიერული სტატია.

**თამაზ ებანოიძე.**

# ადამიანებს ცოტა რამ ჰყოფნით...

(დასასრული)

მაგრამ ხვალ? თანაც, მხოლოდ საჭმელი ხომ არ არის მთავარი: რაცა გინდა, თანამედროვეობასთან სრულყოფილად ზიარება გინდა... მაგრამ ეს მხოლოდ დაინტერესებული კაცის კითხვებია და არა ოპონენტისა. მშვენივრად მესმის, რომ დღევანდელობის რეალობას რაიონი ვერ გაექცევა.

მძიმე ზამთარი გადაიტანა წლეულს ახალციხემ. ხანგრძლივი და მკაცრი.

რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნანა იოსელიანი:

— სიცივისა და გაჭირვების მიუხედავად, სკოლებში მეცადინეობა არ შეწყვეტილა. არც საბავშვო ბაღებში. შეშა, აქე თუ იქე, გვქონდა — გამგეობა, რაც შეეძლო, გვეხმარებოდა. საბავშვო ბაღებსა და სკოლა-ინტერნატებს არც პური შემოჰკლებიათ. განათლების სისტემის ქალაქის დაწესებულებები უმუშევრობასაც არ შეუწუხებია მაინც და მაინც. აი, სოფლად კი, ამ მხრივ, გვიჭირდა. სხვა სადარდებელი უფრო გვაქვს: მასწავლებლები სკოლას ტოვებენ. ამას წინათ ვალეს სკოლიდან უნივერსიტეტში მათემატიკოსი წავიდა, ქალაქის სკოლიდან — ბრწყინვალე ფილოლოგი. ვეღარ არჩენს ოჯახს თავიანთი ხელფასით. მასწავლებლის რეიტინგი ეცემა. თუ ადრე უმუშევრების დასაქმება გვეჭირვოდა, ვაკანსიები მოგვიმრავლდა. სხვა გამოსავალი რომ არ გვაქვს, მასწავლებლებად არასპეციალისტებს ვუშვებთ. ეს პროცესი ძალზე სწრაფად მიმდინარეობს და თუ ასე გაგრძელდა, სკოლა კატასტროფამდე მივა. გამგეობა ყოველ ღონეს ხმარობს; მასწავლებლებს მიწის ნაკვეთებს გლეხთა თანაბრად აძლევს, გათვალისწინებულია მათთვის მეწველი საქონლის დარიგება, ავტობუსის სარაიონო რეისებზე მასწავლებლები უფასოდ მგზავრობენ... ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურებაა ისიც, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ საერთოდ არსებობს საბავშვო ბაღები. გამგეობის შენობაში გამოგვიყვეს ადგილი კომპიუტერული ცენტრის მოსაწყობად (მომავალი წლიდან უკვე მწყობრში ჩადგება). ახლა, როცა სკოლების შეკეთება ცენტრალიზებული წესით აღარ ხდება, როცა დაკონსერვებულია კლდისა და სხვილისის სკოლების მშენებლობა, როცა ავარიულია ზიკილიის, [illegible], სვირის სკოლები და ახალციხის სკოლა-ინტერნატი, მთელ იმედებს ადგილობრივ ხელმძღვანელობაზე ვამყარებთ.

პრობლემები გაგიხარიათ, მაგრამ სასიკეთო ცვლილებებიც შეიმჩნევა ახალციხეში.

— ერთი თვეა რაიონში სისხლის სამართლის დანაშაული არ მომხდარა და საერთოდ, კრიმინოგენული ვითარება ნორმალურია, — მითხრა პოლიციის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ ჯემალ გიორგაძემ. — წლეულს დავაკავეთ სამიშ ბანდიტთა 5-კაციანი ჯგუფი, [illegible] უკვე გაასამართლეს. ამ ცოტა ხნის წინათ კი შევიპყარით ყაჩაღები, რომლებიც პურკომბინატს დაესხნენ და 5,5 ტონა კომბინირებული საკვები გაიტაცეს. თებერვალში ჩვენთან რუსი მოქალაქე მოკლეს ავტომატური იარაღით — მკვლელები დავადგინეთ და ვეძებთ. მოქალაქეებს ჩამოვართვით ხელის ტყვიამფრქვევი, ტყვიაფრქვევი?, ხელყუმბარები, [illegible] ნივთიერებები. ამ საქმეზე 6 კაცია მიცემული პასუხისგებაში. დაკავებულია ვინმე [illegible] ხუციშვილი, რომელიც [illegible] მოძრაობას ამოფარებული ერთ დროს, დიდ „პოლიტიკურ აქტიურობას" იჩენდა. ბრალად ედება წინა წლებში მილიციის განყოფილებაზე თავდასხმა, სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსის ი. ცხოვრებაშვილის გატაცება და წამება, რაიგანყოფილებიდან მანქანების ტექნიკური პასპორტების მოპარვა. ახლახან გამგეობამ 1,5 ტონა სოლიარი გამოგვიყო, ბენზინზე გადავცვლით და საქმეს წინ წავიყვანთ. შეგვიძინა ქსოვილი ფორმის ტანსაცმლის შესაკერად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩვენთვის 4 ავტომატიც გამოსთხოვა.

მარშან, მარტში, ახალციხეში, უფასო სასადილო გაიხსნა: კაფე-სასადილო „რუსთავი" ყოველდღე, 12-დან 13 საათამდე, მარტოხელა და შრომისუუნარო მოხუცებს ეთმობა — 50 ადამიანი იკვებება აქ ცხელი კერძებით (15 მწოლიარისთვის შინ მიაქვთ სადილი). სამისო თანხა (დღემდე, — 180 მილიონი კუპონი) მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტისა და ორგანიზაციათა ქველმოქმედების წილად მოდის. არადა, ცხოვრების სახსარს მოკლებული 340 მოქალაქეა აღრიცხული, ამას ემატება 221 მრავალშვილიანი და მარტოხელა დედა, ინვალიდი და ობოლი ბავშვი, 321 აფხაზეთიდან ლტოლვილი. ყველას დახმარება, მზრუნველობა, მოფერება სჭირდება. გამგეობა, ეპარქია, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ბევრს აკეთებენ მათთვის, სოფლად მცხოვრებ ლტოლვილებს დროებით ნაკვეთებიც გამოუყვეს სულის მოსაბრუნებლად, მიწა მისცეს ქალაქში შეხიზნულთაც, ვინც კი ამის სურვილი გამოთქვა.

— შიმშილით კაცი არ მოგვკვდომია, — თქვა ნუგზარ სარჯველაძემ, — სირცხვილია ამის ხაზგასმა, მაგრამ რას იზამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი რამ იშვიათი როდია დღევანდელ საქართველოში. პურის საქმე რაიონში, მეტნაკლებად, მოგვარებული გვაქვს. ხარისხიანიც ცხვება და ხალხი შეუფერხებლადაც იღებს თავის ნორმირებულ ულუფას. აი, ზამთარში კი გაგვიჭირდა ფქვილის მიწოდება სოფლებისთვის. ფქვილი გორიდან და ბორჯომიდან შემოგვაქვს. ეს საწვავის ხარჯთან და გაუთვალისწინებელ დანაკარგებთან არის დაკავშირებული, ამიტომ გადავწყვიტეთ, საკუთარი წისქვილი მოვაწყოთ. რუსეთში ვიშოვეთ საჭირო დანადგარები და მისი ღირებულება — 35 მილიონი მანეთიც ჩავრიცხეთ, ეს თანხა იქ მოღვაწე ნაცნობმა ქართველმა მეწარმეებმა შემოგვაწიეს. ალბათ, 1-2 თვეში ჩამოვიტანთ და დავამონტაჟებთ. ახალციხეს სასმელი წყალი აკლია, განსაკუთრებით, ზაფხულობით — მოსახლეობას გრაფიკით მიეწოდება. წყალგაყვანილობა თითქმის მთლიანად შესაცვლელია. [illegible] ზემოდან დამატებითი წყაროების შემოყვანა დავიწყეთ. მშენებლები, საქტრანსგაზის მუშაკები გვპირდებიან, რომ აგვისტოს დასაწყისათვის პირველი რიგის სამუშაოს — 3-კილომეტრიან ხაზს დაამთავრებენ, მეორე რიგი კი 20 კილომეტრს მოიცავს.

არის მთავრობის დადგენილება მესხეთ-ჯავახეთში ჰიდროენერგეტიკის განვითარების შესახებ. რეგიონში 5 ჰესი უნდა აიგოს. სამისოდ დაახლოებით 120 მილიონი დოლარი დაიხარჯება უცხოური ინვესტიციებიდან. მართალია, ჰესები ხვალ და ზეგ არ აიგება, მაგრამ იმედიც დიდი საქმეა. ეს დიდ შესაძლებლობას შეგვიქმნის, თორემ ჩვენი მრეწველობა თითქმის პარალიზებულია. ყველა საწარმო მთელი ზამთარი — ხუთი თვე გაჩერებული იყო. ახლაღა ამუშავდა ელექტრომავლების ქარხანა, რომლის პროდუქციასაც რუსეთი და ბელარუსი იძენენ, თავდაცვის სამინისტროს ქარხანა „[illegible]", საგატ-დიატომიტის სამმართველო, ამ დღეებში ამუშავდება [illegible] ფაბრიკა...

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, როგორც უკვე ითქვა, იგი თვისებრივად იცვლება. მცირდება სახელმწიფო სექტორი, მძლავრდება გლეხური მეურნეობა. მაგალითად, თუ სახელმწიფო ფერმებში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 4800 სულამდე შემცირდა, ცხვრისა — 4300-მდე, ღორისა კი 300-მდე, კერძო სექტორში მათმა რაოდენობამ შესაბამისად 16 ათასამდე, 7 ათასამდე და 1200-მდე იმატა.

წავიდა ის დრო, როცა რაიონი ყველა პრობლემის მოგვარებას „ზემოდან" — თბილისიდან ელოდა. ახლა ამოცანები ძირითადად ადგილობრივი ძალებით უნდა გადაწყდეს, სამისოდ ყველა რეზერვი გამოიძებნოს და ამოქმედდეს. მაგალითად, სოფლებიდან ხალხს უძნელდება ახალციხეში ავტობუსით ჩამოსვლა: ძვირია; 100 ათასი კუპონი ღირს. ჩვენ ადრევე გავათავისუფლეთ მგზავრობის ღირებულების გადახდისგან ზოგიერთი კატეგორიის ადამიანები: მასწავლებლები, ექიმები, მოსწავლეები, სტუდენტები, პენსიონერები და ა. შ. ახლა კი გადავწყვიტეთ საერთოდ უფასო გავხადოთ მგზავრობა. ეს საქალაქთაშორისო მარშრუტებიდან მიღებული მოგების ხარჯზე მოხდება. დამატებით 3 ტონა საწვავსაც გამოვუყოფთ საგზაო ავტოსაწარმოს.

ახლა ვამთავრებთ თოჯინების თეატრის მოწყობას გამგეობის შენობაში. 200-ადგილიანი დარბაზი ექნება. იგი მალე ჩადგება მწყობრში და მესხეთის სახელმწიფო თეატრს შეეშველება რაიონის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებაში. აი, დღეს ქალაქის სტადიონზე ორი ამხანაგური მატჩია დანიშნული: ჯერ ერთმანეთს ხვდებიან ჩვენი და ბორჯომის სპორტსკოლების ფეხბურთელები, შემდეგ — ორი ქალაქის ვეტერანები...

ისე, რომ, გვაქვს უამრავი პრობლემა, მაგრამ მიღწევებიც არის, სადღეისო გეგმებიც, სახვალიო ამოცანებიც და, რაც მთავარია, იმედი, რომ ახალციხის რაიონი გამოვა კრიზისიდან და ამით თავის წილ მხარს შეუშველებს რესპუბლიკას...

**ჩემდა** სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე: ნახევარ საუკუნეს გადაცილებულმა კაცმა ახლა პირველად ვიხილე საქართველო-თურქეთის საზღვარი. სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტი არა მაქვს მხედველობაში. „ნატურალურ" საზღვარზე მოგახსენებთ. ჯერაც რუსი ჯარისკაცებით შეკრულ-შეჯავშნულს, ჩიტიც რომ ვერ გადაუფრენს ზედ, ისე დრომ მოიტანა, თორემ გუშინ და გუშინწინ ძალიან „ძალლა" შეუთანხმებლად, [illegible] თვალის [illegible] ვინ მიგაკარებდა ეკლიანი მავთულით მოსაზღვრულ მწვანე ზოლს [illegible], საიდანაც თურქული სოფლები ისევე მოჩანს, როგორც თბილისური უბნების ერთი კორპუსიდან მეორე კორპუსის ღია ფანჯრებში [illegible] ამარა მობორიალე, ივნისის სიცხით გულშემოყრილი მოქალაქეები.

[illegible] სოფელ წყალთბილას შემაღლებიდან გაღმა მხარეს [illegible], რომ სულ ორ ნაბიჯზე, მდინარე ფოცხოვის მეორე ნაპირზე, სხვა სახელმწიფოა, სხვა სამყარო, იმდენად ახლობელი, იმდენად [illegible] იქაურობა, აქაურობას.

და როცა ჩემმა მეგზურმა გვერდით [illegible] სადღაც ერთი ბოთლი შამპანური გამოაძვრინა და დაილოცა, გამოგზავნილი საქართველოს გაუმარჯოს, გული კინაღამ საგულედან ამომხტა...

**ალეკო ასლანიშვილი,**
ახალციხე-თბილისი.

---

### რასაც დასთეს, იმას მოიმკი

# რატომ გიკვირთ, ბატონებო?!

**მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის ყოფილმა მოკავშირეებმა დიდი ზარზეიმით აღნიშნეს 1944 წლის 6 ივნისს განხორციელებული „ნორმანდიის ოპერაციის" ანუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საჯარისო ნაწილების ჩრდილოეთ საფრანგეთში გრანდიოზული დესანტის 50 წლისთავი.**

ამ ზეიმზე არ იქნა მიწვეული ის მოკავშირე, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ფაშიზმის განადგურებაში, ესე იგი რუსეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები. რუსეთის ტელეკომენტატორებმა და ჟურნალისტებმა მტკივნეულად განიცადეს ეს უტაქტობა და სათანადო რეაქცია მოახდინეს ამ წმინდა ამერიკულ, უცერემონიო, უბოდიშო გამოხდომაზე. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბევრმა წარმომადგენელმა არც თუ უსაფუძვლოდ აღნიშნა, რომ დასავლეთმა, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამით კიდევ ერთხელ აგრძნობინეს მთელ სამყაროს, რომ დღევანდელი რუსეთი — მეორეხარისხოვანი სახელმწიფოა, რომლის იგნორირება სავსებით შესაძლებელია.

საწყენია ყველაფერი ეს რუსეთისათვის? რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ აბა გავიხსენოთ, რუსეთის იმავე ტელევიზიამ, იმავე ჟურნალ-გაზეთებმა, ახლა დაბალი კლასის გაწკეპლილი მოსწავლესავით რომ იბუტებიან, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ვიდრე დღემდე, რამდენი ლაფი ასხეს გამარჯვებას დიდ ომში?! აღარ გახსოვთ ეს, ბატონებო?, გაიხსენეთ და დამშვიდდით. ვინც თავისთავს პატივს არა სცემს, მას არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ვინმე სხვა მიაგებს პატივს.

ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი სოლიდური, თავმოყვარე სახელმწიფოები არიან. არა მგონია, მათ ამ დღეებში გაიხსენონ ტრუმენის ყბადაღებული, ცინიკური [illegible] მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურების თაობაზე, ან ის, რომ ალენ დალესი [illegible] ფაშისტური გერმანიის მესვეურებთან აწარმოებდა სეპარატულ მოლაპარაკებებს, საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულს...

ყოფილ მოკავშირეთა იდეოლოგიური სამსახურები ხრუშჩოვ-გორბაჩოვისეული უპრეცედენტო თვითგვემის ფონზე [illegible] მომარჯვებით, არწმუნებენ მსოფლიოს, რომ სწორედ მოკავშირეებმა მოუღეს ბოლო ფაშიზმს და არა საბჭოთა კავშირმა. ძნელია ამიტომ შევედავო ამერიკისა და ინგლისის ისტორიკოსებსა და პოლიტოლოგებს, რომლებიც, სხვათაშორის, გაცილებით მეტ ტაქტსა და ობიექტურობას იჩენენ, ვიდრე ვოლკოგონოვის ტიპისა და ყალიბის ისტორიკოსები, რომლებიც ერთმანეთს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გაყალბებაში და წმინდა მიზნისტურ განქიქებაში ეჯიბრებიან...

და ეს მაშინ, როცა არსებობს ისეთი სარწმუნო დოკუმენტები, როგორიცაა ჟუკოვის, ვასილევსკის, როკოსოვსკის, კონევის, მერეცკოვის, ბაგრამიანის, ტოლბუხინის, ბატოვის, გრეჩკოს, შტემენკოს, იაკოვლევის, ისაკოვის, კუზნეცოვისა და სხვა გამოჩენილი მხედართმთავრების მემუარები, — ფაქტობრივად დოკუმენტურად დასაბუთებული გამოკვლევები, მოკავშირე ქვეყნების მეთაურების მიმოწერა, თვით გამოჩენილი გერმანელი სამხედრო მოღვაწისა და ისტორიკოსის ტიპელსკირხის მონუმენტური გამოკვლევა „მეორე მსოფლიო ომის ისტორია" და ა. შ.

რუსეთის „მეოთხე ხელისუფლებამ" უმჯობესია გონს მოიყვანოს საკუთარი სამშობლოს ისტორიის „ხელახალი წამკითხველების" საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც დაქირავებული მეპანღურის ცივი, ამაზრზენი აზარტით ცილს სწამებს ყოფილი საბჭოთა ხელისუფლების ხალხთა უმაგალითო გმირობას სამამულო ომის პერიოდში, იმ ომისა, რომელშიც 700 ათასი საქართველოს შვილი მონაწილეობდა და აქედან თითქმის ნახევარი ბრძოლის ველზე დაეცა. გავკადნიერდები და მოვახსენებ მათ, ვისაც სჯერა, რომ ქართველები „სხვის ომში" იღებდნენ მონაწილეობას, რომ (თავი დავანებოთ ამ საკითხის ზნეობრივ მხარეს) ჰიტლერის უშუალო მითითებით არაარიულ ერებს ფაშისტური სამყაროს „ახალ რეჟიმში" განეკუთვნებოდათ მხოლოდ ფიზიკურ შრომაში და მომსახურების სფეროში მონაწილეობა. ამ ერების (მათ შორის ქართველი ერის, ვინაიდან იგი „არაარიული" გახლავთ), ინტელიგენცია ითარგლებოდა დაწყებითი განათლების სფეროში მომუშავე მასწავლებლებით. ასე რომ, ძვირფასო თანამემამულენო, ეს ჩვენი ომიც იყო, ჩვენი მამები და უფროსი ძმები საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და მთელი კაცობრიობის გადარჩენის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის იბრძოდნენ და იღუპებოდნენ.

რუსეთის ჟურნალისტებს ისიც ეწყინათ, რომ ზეიმზე გერმანია და რუსეთი, ასე ვთქვათ, „ერთ კომპანიაში" არ მიიწვიეს. ამაში დაინახეს რაღაც უსიამო პარალელები. ეს წყენაც პირადად ჩემთვის, გაუგებარია. აბა, გაიხსენეთ, ძვირფასო რუსო კოლეგებო! — ამ ბოლო დროს გამოსულა თქვენში ნებისმიერი გაზეთის ერთი ნომერი მაინც, სადაც არ იყოს მსჯელობა „წითელ-ყავისფერი" ძალების საშიშროებაზე?, გამოსულა თანამედროვე [illegible], რომ არ ესაუბრა ამ „წითელ-ყავისფერ[illegible]" [illegible] რომ გწყინთ, როცა სხვა [illegible] ამ ფერების [illegible] ღმერთმანი, გაუგებარია [illegible] გულისწყრომა!

დიდმა რუსმა მწერალმა ლეონიდ ლეონოვმა, რომელსაც ამ დღეებში 95 წელი შეუსრულდა, ტელევიზიის საშუალებით მიმართა რუსეთის დღევანდელ მესვეურებსა და ჟურნალისტებს: „შეწყვიტეთ, ბოლოს და ბოლოს, ეს გაუთავებელი პოლიტიკური სტრიპტიზი". მეეჭვება, რომ მხცოვან რუს მწერალს დაუჯერებენ, ისეა აგორებული ეს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პროცესი და იმდენი ვინმე პარაზიტობს ამ, რბილად რომ ვთქვათ, ულამაზო მოვლენაზე.

ისე არ გამიგოს მკითხველმა, ისტორიის შელამაზებისა და „გაუმჯობესებისაკენ" ვუბიძგებდე ვინმეს, სრულებითაც არა. ნათქვამია, ღმერთს ყველაფერი შეუძლია გარდა იმისა, რომ შეცვალოს ის, რაც უკვე მოხდა. იყო დრო, როცა „ვალამაზებდით" და „ვაუმჯობესებდით" ჩვენს ისტორიას. ამან დიდი ზიანი მოგვიტანა. ხომ უნდა ვისწავლოთ ჭკუა და მეორე უკიდურესობაში არ გადავეშვათ?

ასე რომ, ნუ გიკვირთ, ბატონებო, გამარჯვებულთა ნადიმზე რომ არ მიგიწვიეს ამჯერად. თქვენ ხომ თვითონ არ თვლით თავს გამარჯვებულად ამ ომში და, აბა, რა უფლება გაქვთ გაებუტოთ მათ, ვინც თვლის, რომ სწორედ მათი მეცადინეობით დაემხო ფაშიზმი... უკეთეს დროს დაელოდეთ, არაა გამორიცხული, რომ „ნორმანდიის ოპერაციის" 100 წლისთავზე მაინც [illegible] და მიგიწვევენ. [illegible] შორის, ეს დიდად იქნება დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორ აღვნიშნავთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50 წლისთავს. არ მიბაძავთ, იმედია, ამერიკელ პოლიტიკურ კოვბოებს და მოიწვევთ ამ ზეიმზე ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ, იტალიელ და ფაშიზმთან მებრძოლ სხვა ერების ომის ვეტერანებს, თვით გერმანელ ანტიფაშისტებსაც, რომლებიც საბჭოთა მეომრების მხარდამხარ იბრძოდნენ ფაშიზმის გასანადგურებლად.

ამასობაში ყოველი ქართველი საბოლოოდ დარწმუნდება იმაში, რომ დიდი სამამულო ომი მისი ომიც იყო და ჩვენც ღირსეულად აღვნიშნავთ ამ უდიდეს ისტორიულ თარიღს.

**დევი სტურუა.**

---

# ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები

**საქართველოს** მწერალთა კავშირში გაიმართა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის სხდომა, რომელმაც იმსჯელა პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატების შესახებ.

ხმების თანაბარი რაოდენობით ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭათ **ლეილა ერაძეს** — აზერბაიჯანული ლიტერატურის ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნისათვის და **რომან მიმინოშვილს** „ჰომეროსის ილიადის", ვერგილიუსის „ენეადის", ძველბერძნული პოეზიის ანთოლოგიისა და სხვა ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნისათვის.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის წინადადებით გამოიყო ერთი დამატებითი პრემია. იგი ერთხმად მიენიჭა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელ მწერალთა ჯგუფს **თამარ კეზელის (მამისთვალოვი-კეზერაშვილისა), აბრამ მამისთვალოვისა და გერშონ ბენურენის (წიწუაშვილი)** შემადგენლობით. მათ პირველად თარგმნეს ებრაულიდან ქართულ ენაზე, მოსეს ხუთწიგნეული — თორა.

---

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სახელმწიფო კოოპერაციის ინსტიტუტი

ინსტიტუტი საბიუჯეტოა, სწავლება დღის ფაკულტეტზე უფასოა

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:
1. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი.
2. კომერციული საქმიანობის მენეჯერი.
3. კვების ტექნოლოგ-კომერსანტი.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე 5 ივლისიდან 20 ივლისამდე, 10-დან 17 საათამდე.

საბუთების შეტანის დროს აბიტურიენტები გადაიხდიან მომსახურებისათვის ინსტიტუტის მიერ დაწესებულ თანხას ორი ამერიკული დოლარის შესაბამისი საბაზრო კურსის მიხედვით.

მისაღები გამოცდები დაიწყება 23 ივლისს.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა №086);
3. ექვსი ფოტოსურათი (3X4).

პასპორტსა და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

სპეციალობებზე: საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი და კომერციული საქმიანობის მენეჯერი — გამოცდები ჩატარდება:
1. უცხო ენა (ზეპირი).
2. მათემატიკა (ზეპირ).
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

კვების ტექნოლოგ-კომერსანტის სპეციალობაზე:
1. მათემატიკა (ზეპირი)
2. ქიმია (ზეპირი)
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ინსტიტუტში ჩარიცხულნი სტიპენდიას მიიღებენ საერთო წესის მიხედვით.

დაუსწრებელი ფაკულტეტის სპეციალობებზე სწავლება ფასიანია.

სწავლების საფასური განისაზღვრება წელიწადში 100 ამერიკული დოლარის შესაბამისი საბაზრო კურსის მიხედვით.

ინსტიტუტში ღია კარის დღე ჩატარდება 15 ივნისს 10 საათზე.
ინსტიტუტს ჰყავს ოთხი ავტობუსი, რომლებიც №777 მარშრუტით მოძრაობენ გადასასვლელი ხიდიდან ინსტიტუტამდე.

ინსტიტუტის მისამართია:
თბილისი, ლოტკინის მთის დასახლება, სამღერეთის ქ. №5.
ტელეფონი: 66-23-41 (მიმღები კომისია), 66-14-23, 66-37-50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

*ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო აცხადებს, რომ სამშაბათიდან, 1994 წლის 7 ივნისიდან განცხადებები არასაიმიგრაციო ვიზების მისაღებად მიიღება შემდეგ დღეებში:*

*სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 9. 00 სთ-დან 11. 00 სთ-მდე.*

*ინფორმაცია ვიზებსა და სხვა საკონსულო საკითხებზე შეგიძლიათ მიიღოთ საელჩოს საკონსულო განყოფილებაში ყოველდღე 15. 00 სთ-დან 16 სთ-მდე.*

„მთის ზროლი"
გიწვევთ
ურეკში, შოვსა და ბაკურიანში

საწარმოო გაერთიანება "სამთო ქიმია" გთავაზობთ საოჯახო საგზურებს კომფორტულ დასასვენებელ ბაზებში ურეკში — 15 ივნისიდან, შოვსა და ბაკურიანში 1-ლი ივლისიდან.

ურეკში თქვენს განკარგულებაშია კვების ბლოკი, კლუბი, ვიდეობარი, ბარი, ღია სპორტული მოედნები, საკუთარი პლაჟი.

ზღვა, მზე და მაგნიტური ქვიშა შესანიშნავ პირობებს შეგიქმნით დასვენებისა და მკურნალობისათვის.

შეღავათიან ფასებში მოგემსახურებათ "იკარუსის" ტიპის ავტობუსები თბილისიდან ურეკამდე და უკან.

შოვში ტყის მახლობლად მდებარე მშვენიერი ბაზა გიმასპინძლებთ. აქაც არის ვიდეობარი, კლუბი, სასადილო და სპორტული დარბაზი. წიწვოვან ტყესა და შესანიშნავ მინერალურ წყაროებს კი ვერც ერთი წამალი ვერ შეედრება.

ბაკურიანშიც არ მოიწყენთ. დიდი სასადილო კორპუსი, კლუბი, საუნა, ვიდეოთეკა დასვენების დღეებს გაგიმრავალფეროვნებთ, ხოლო მთის ჰავა, მზის ხანგრძლივი ნათება და ულტრაიისფერი სხივები შეუდარებელია სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

ურეკი, შოვი და ბაკურიანი განსაკუთრებით ეფექტიანია ბავშვებისათვის.

ცნობებისათვის მოგვმართეთ:
თბილისი, წერეთლის პრ. 142,
საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია", ოთახი 22.
ტელ: 34-13-30.

სალონი „ოპტიკა"
 იწვევს ყველას, ვისაც სასურველი ნომრის სათვალის შეძენის იმედი დაეკარგა.
შემოგთავაზებთ სფერულ მინებს
0. 00-დან +20.00-მდე და 0. 00-დან -20.00-მდე.
აგრეთვე პოლიმერის მსუბუქ ლინზებს.
ჩვენი მისამართია: თამარ მეფის გამზირი №5.

English Language Center
აცხადებს მიღებას ინგლისური ენის შემსწავლელ ინტენსიურ კურსზე!
მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი 7 კვირის განმავლობაში, უახლესი სახელმძღვანელოებისა და მეთოდების გამოყენებით მოგამზადებთ TOEFL და Pre-TOEFL-ისთვის.
აგრეთვე გთავაზობთ სალაპარაკო ინგლისურის შესწავლის საუკეთესო შესაძლებლობას.
მეცადინეობა გაიმართება კვირაში 5-ჯერ, 3-3 საათის განმავლობაში.
(მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან").
ცნობებისათვის დარეკეთ ყოველდღე
11-დან — 19 საათამდე.
ტელ: 95-61-23.

---

# კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა საგანგებო ყრილობის მიმართვა სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტისა და მთავრობისადმი

საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქში უკვე სამ წელიწადზე მეტია ფუნქციონირებს სასაქონლო-სანედლეულო, საფონდო და სავალუტო ბირჟა — „კავკასიის ბირჟა".

ვინაიდან მას არ გააჩნია საკუთარი შენობა, 1991 წ. 3 ივნისს „კავკასიის ბირჟასა" და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანს" შორის დაიდო ხელშეკრულება შენობის ნაწილის იჯარით აღების შესახებ 5 წლის ვადით — 1996 წლის 3 ივნისამდე.

1994 წ. 17 მაისს სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟამ" მიიღო კიდევ ერთი სერიოზული და მძიმე დარტყმა. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა, რომელიც გახდა სკი „რადიანის" მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მემკვიდრე, კანონის სრული უგულებელყოფით ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა „კავკასიის ბირჟასა" და მასთან არსებულ სამეწარმეო სტრუქტურებს შენობა დაეცალათ 1994 წლის 3 ივნისამდე.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ უშიშროების სამსახურის სპეციფიკიდან თუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, მაგრამ იურიდიულად, ასევე მორალურადაც მიუღებლად მიგვაჩნია ცალმხრივად ხელშეკრულების დარღვევა და ძალისმიერი მეთოდებით მოქმედება.

ვინაიდან „კავკასიის ბირჟას", შენობაში ქვეიჯარით მყოფ ბანკებს, ფირმებს, სააქციო საზოგადოებებს, სულ ორასამდე ორგანიზაციას ორიათასამდე თანამშრომლით და ათასობით მეანაბრით, სხვა თავშესაფარი არ გააჩნიათ, ზემოაღნიშნული ფაქტი ნიშნავს მათ ქუჩაში გაყრას და ღია ცის ქვეშ დატოვებას.

მიგვაჩნია, რომ მოქმედი კანონმდებლობა უნდა დაიცვას ყველა სტრუქტურამ. მმართველობის ორგანოს — უშიშროების სამსახურს არა აქვს ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევის უფლება, ეს სასამართლოს პრეროგატივაა.

ყრილობა მოგმართავთ თხოვნით მიაქციოთ ყურადღება აღნიშნულ ფაქტს და წინ აღუდგეთ ამ უკანონო და ბარბაროსულ აქტს.

30. 05. 94 წელი

---

# კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა საგანგებო ყრილობის რეზოლუცია

ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში დემოკრატიის და კეთილდღეობის დამკვიდრების ერთადერთ გზას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ამას უნდა მოჰყვეს განაწილების ცენტრალიზებული მექანიზმების და შესაბამისი სტრუქტურების გაუქმება და ახალი საბაზრო მექანიზმის ამუშავება. საქართველოშიც დეკლარირებულია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კურსი, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება აქ ძალზე მძიმედ და მტკივნეულად მიმდინარეობს.

იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში გადადგა ნაბიჯები ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემის მოწესრიგებისაკენ, მიიღო რადიკალური ბრძანებულება პრივატიზების დაჩქარების შესახებ და მოხდა გარკვეული, პოზიტიური ხასიათის ცვლილებები, დღეს საქართველოში ეკონომიკური რეფორმის პროცესის შეუქცევადობა ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშ დგას და მას რეალურად ემუქრება დრომოჭმული წესწყობილების რესტავრაციის საფრთხე.

ძველი სამთავრობო სტრუქტურები, ცდილობენ რა შეინარჩუნონ მონოპოლისტური პოზიციები, ხშირად ყველა ზომებს მიმართავენ ახლად აღმოცენებული საბაზრო მექანიზმების ჩასახშობად. პარლამენტის არასაკმარისი კანონშემოქმედებითი საქმიანობის გამო მართვის მარეგლამენტირებელი და სამართალდამცავი სადავეებიც მათ ხელში აღმოჩნდა და ისინი ხშირად ამ ბერკეტებს სწორედ სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემების პროტექციონისტული პოლიტიკისთვის იყენებენ, თავისუფალ მეწარმეობას უმძიმეს საარსებო გარემოს უქმნიან. უფრო მეტიც, სახელმწიფო უწყებრივი სტრუქტურები და უმსხვილესი საწარმოო გაერთიანებები არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ კარნახსაც ახორციელებენ.

დღეს ვაწყდებით იმ შეზღუდვების რეანიმაციის შემთხვევებსაც, რომლებიც სოციალიზმის ბოლო პერიოდშიც კი ანაქრონიზმად იყო მიჩნეული, ხოლო თავისუფალი სამეწარმეო სტრუქტურების უსაფუძვლო ლანძღვა სულ უფრო ხშირად გაისმის, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური წყაროებიდან. მათ წისქვილზე წყალს ასხამს ყოვლად უპასუხისმგებლო პოპულისტური განცხადებები ცრუ სოციალურ სამართლიანობაზე, რომლებიც ორიენტირებულია სოციალიზმის წლებში მოწამლულ ცნობიერებისკენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო საქართველო გადაიქცა მეწარმეობის განვითარებისა და ინვესტირებისთვის არახელსაყრელ ზონად და ბიზნესმენთა უმრავლესობა იძულია საქმიანობა შეეწყვიტა, ან გადასახლებულიყო სხვა ქვეყნებში და იქ მოეხდინა თავისი შესაძლებლობების რეალიზება. საქართველოში ოფიციალური საქმიანი აქტიურობა კატასტროფული ტემპით ეცემა.

ამის მიუხედავად, კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა საგანგებო ყრილობა აცხადებს, რომ ერთი მხრივ, საქართველოში ხელისუფლების მიერ შექმნილი შედარებითი სტაბილურობა და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ წრეებში არსებული უდიდესი დაძაბულობა განსაზღვრავს დღევანდელ მომენტს, როგორც, შესაძლოა, უკანასკნელ შანსს დაიწყოს რეალური თანამშრომლობა თავისუფალი მეწარმეობის ხელისუფლებასთან. თუმცა, აღნიშნული თანამშრომლობა შეუძლებელი გახდება, თუ ხელისუფლება არ განამტკიცებს თავის სურვილსა და უნარს დაუყოვნებლივ გაატაროს რეფორმები და უმოკლეს ვადაში დაიწყოს და განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1. შექმნას და აამოქმედოს საბაზრო ეკონომიკისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა;
2. დააჩქაროს და დაასრულოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი, როგორც კერძო საკუთრებისა და სათანადო ურთიერთობების საბოლოო დამკვიდრების უმთავრესი ფაქტორი;
3. აამოქმედოს მაკროეკონომიკური საბაზრო მექანიზმები და უზრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა ბუნებრივი გზით მიღწეულ იქნას ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და კონვერტირებადობა;
4. განახორციელოს საფინანსო-საბანკო სისტემის რეორგანიზაცია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, ხელი შეუწყოს თავისუფალი საბანკო კონკურენციის განვითარებას;
5. მოახდინოს სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა და მკაცრი რეგლამენტირება. განაგრძოს ბრძოლა კრიმინალურ სამყაროსთან ქვეყანაში წესრიგისა და სტაბილურობის შემდგომი გაღრმავების მიზნით, ხოლო სამეწარმეო სტრუქტურების შემოწმების უფლებამოსილება მიანიჭოს მხოლოდ საგადასახადო ინსპექციას და სახელმწიფო სახსრების გამოყენების შემთხვევაში — კონტროლის პალატას;
6. განახორციელოს საბიუჯეტო ხარჯების შემცირება მმართველობითი აპარატის შეკვეცითა და სოციალური დახმარებების მისამართობლივ სისტემაზე გადასვლით;
7. შეასრულოს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია — განამტკიცოს რა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ეფექტიანი ფუნქციონირება ბიუჯეტში რეალური შემოსავლების მიღების მიზნით;
8. არ დაუშვას ადამიანის უფლებების დარღვევა საქართველოში. კერძოდ მეწარმის ძირითადი ეკონომიკური უფლებების დაცვა აყვანილი იქნას სახელმწიფო რანგში და მისი შესრულება განიხილოს როგორც საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის დამკვიდრების ძირითად საფუძვლად.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები ეკონომიკური რეფორმის ღონისძიებათა მცირედი ნაწილია. ამიტომ მათი შეუსრულებლობა დამადასტურებელი იქნება ხელისუფლების ყველა შტოს ქმედითუუნარობისა და შეუძლებელს გახდის მეწარმეების შემდგომ თანამშრომლობას მასთან.

ყრილობა ქართველი ერის წინაშე აცხადებს, რომ დღეს არავის არა აქვს უფლება ხელიდან გაუშვას შეთანხმების მიღწევის შანსი და გამოთქვამს იმედს, რომ ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი თავის ძირითად მიზნად ხალხის კეთილდღეობას გადააქცევს, რაც მეწარმეობის აუცილებლად შეუძლებელია.

1994 წლის 30 მაისი, თბილისი

## ისტორიები

გორი

### ვინ დაეხმარა თეატრს

ვიდრე ცოცხლობს თეატრი, ცოცხლობს მსახიობიც, — ამბობს გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი დარეჯან ჭამაური. — 25 წელიწადია გორის თეატრის სცენაზე ვცოცხლობ და ასეთი გაჭირვება არ მახსოვს.

მართალია ზამთრის მძიმე პირობებმა მუშაობის შესაძლებლობა მოგვისპო, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცეებს სხვა მიზნისთვის სჭირდებათ თეატრის შენობა და მსახიობის ბედი არ აღელვებთ.

ამ გულცივობის ჟამს, როცა კუპონზე მომუშავე მსახიობი თითქმის შიმშილობს, სიხარული მოგვახია ჩემი მეგობრის, მოსკოველი კოლეგის ნადეჟდა კრიმოვას თანადგომამ. მან თავისი პირადი დანაზოგიდან 150 ათასი მანეთი გამოგვიგზავნა და გულთბილი ბარათით გაგვამხნევა... ეს დაუვიწყარი სიკეთეა. ვფიქრობ, გორელ ბიზნესმენებს მეტის გაკეთება ძალუძთ მშობლიური თეატრისთვის.

ბორჯომი

### პირველი ეროვნული პარკი

ახლახან ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა ბორჯომში ათდღიანი ვიზიტით მოავლინა ცნობილი კანადელი ექსპერტი, დოქტორი გიოტც შუერპოლცი, რომელსაც ესაუბრა საქინფორმის კორესპონდენტი.

— ჩემი ჩამოსვლის მიზანია, — თქვა მან, — საფუძვლიანად შევისწავლო ბორჯომის ეროვნული პარკისთვის განკუთვნილი ტერიტორია. ამ პრობლემაზე მომუშავე რეგიონული ჯგუფის წევრებთან ერთად ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს წარვუდგინო დასაბუთებული წინადადებები ეროვნული პარკის შექმნის ღონისძიებათა დასაფინანსებლად. ბუნებრივია, ვითვალისწინებთ, რომ ბორჯომის პარკი უპასუხებდეს ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს.

ბორჯომის ხეობის უნიკალური ბუნებრივი პირობები გვინერგავს რწმენას, რომ აქ შექმნილი საქართველოში პირველი ეროვნული პარკი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ევროპაში და საგრძნობ მატერიალურ სარგებლობას მოუტანს როგორც საკურორტო რეგიონს, ასევე დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას, — აღნიშნა კანადელმა სტუმარმა.

**რობერტ ცუცქირიძე.**

ზუგდიდი

### მობრძანდით კინოთეატრში

კულტურული ცხოვრება ზუგდიდის რაიონში თანდათანობით ძალას იკრებს. ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივები და გაერთიანებები პერიოდულად მართავენ საინტერესო შეხვედრებს კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. ზუგდიდის გამგეობის კულტურის განყოფილების ძალებით დღეს აქ მოქმედებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. ახლახან კი ზუგდიდში, სამი წლის უმოქმედობის შემდეგ (რაც გამოწვეული იყო რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით) კინოთეატრმა „საქართველომ" კვლავ მიიღო მაყურებელი. რაიონის ბევრ პუნქტში ამოქმედდა კინოკლუბები, სადაც სამამულო ფილმებთან ერთად აჩვენებენ საზღვარგარეთულსაც. ახლა არის იმის ყველა წანამძღვარი, რომ ზუგდიდის რაიონში კულტურულ ცხოვრებას თავდაპირველი სახე დაუბრუნდეს.

**თამაზ როგავა.**

### ყაჩაღები ავადმყოფების წინააღმდეგ

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 6 ივნისს, ღამით, დაუდგენელი ბოროტმოქმედები შეიჭრნენ ზუგდიდის მეორე საავადმყოფოში. ყაჩაღებმა წაიღეს ძვირფასი მედიკამენტები და ჰუმანური დახმარებით მიღებული პროდუქტები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

# როცა ქვეყანას სჭირდები...

## გიგა ლორთქიფანიძე გიგა ჯაფარიძის შესახებ

**სამოცდაათი წელი შეუსრულდა საქართველოს სახალხო არტისტს, ლიტვის 1991 წლის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატს, ამავე ფესტივალის „გრან-პრისა" და საპატიო კვერთხის მფლობელს გიგა ჯაფარიძეს.**

**ამ ფაქტთან დაკავშირებით ვესაუბრეთ თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარეს გიგა ლორთქიფანიძეს.**

— დიდი ქართველი რეჟისორი, კულტურის მოღვაწე და დიდი პიროვნება ვასო ყუშიტაშვილი თბილისის გარდა, სხვა ქალაქებშიც მოღვაწეობდა. მუშაობდა ბათუმში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში. ერთხელ ვკითხე — ბატონო ვასო, თბილისში რატომ არ რჩებით-მეთქი. მან მშვენიერი პასუხი გამცა: — ადამიანი იქ კი არ უნდა იყო, სადაც შენ გჭირდება, არამედ იქ უნდა იყო, სადაც შენ სჭირდებით. ჩემი აზრით, ქართული კულტურის შესანიშნავმა მოღვაწემ გიგა ჯაფარიძემ ამ პრინციპით იცხოვრა დღემდე. ის მთელი ცხოვრება იყო იქ, სადაც სჭირდებოდა თავის კუთხეს, ერს, ქვეყანას. გიგა ჯაფარიძისათვის ღია იქნებოდა კარები ნებისმიერ ქართულ თეატრში. მას შეეძლო ნებისმიერ მათგანში ემუშავა რეჟისორად და მსახიობად, მაგრამ მან აირჩია უფრო რთული და მნიშვნელოვანი გზა თავისი ცხოვრებისა. გიგა ჯაფარიძე გახლავთ ნამდვილი მოღვაწე და იგი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა ღვაწლი ქართულ კულტურაში ფასდაუდებელია. მისი სპექტაკლები, მისი ნამუშევრები საინტერესო იყო არა მარტო რაჭაში, სადაც იგი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს, არამედ მთელი ქართველი მაყურებლისთვის. მის სპექტაკლებს, თბილისში გასტროლების დროს, ყოველთვის უამრავი ხალხი ესწრებოდა იმიტომ, რომ ყოველთვის ახლდა თან გამორჩეულად საინტერესო, მნიშვნელოვანი და ახალი.

გარდა ამისა, ბატონი გიგა გახლავთ უპატიოსნესი პიროვნება, ადამიანი, რომელმაც სუფთად იცხოვრა. და მე მინდა მივულოცო მას — ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს, ჩემთვის შინაგანად ძალიან ახლობელ ადამიანს, ქართული კულტურის დიდ მოამაგეს, დაბადების 70 წლისთავი და ვუსურვო შემდგომში მისი ხელოვნების კიდევ უფრო განვითარება, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე.

ესაუბრა

**ინგა მეტრეველი,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**

ახალი წიგნი

# ღვაწლის დაფასება

**მიხეილ** წინამძღვრიშვილის სახელი საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი. უთვალსაჩინოესი მეცნიერ-კლინიცისტი, ქართული თერაპიული და კარდიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი კარდიოლოგიის კლინიკური და ექსპერიმენტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი, — ასეთი იყო ერის სახელოვანი შვილი, თავისი ქვეყნის უსაზღვრო პატრიოტი და მამულიშვილი.

დიდი ადამიანის სახელს ისტორია არ ივიწყებს, ხოლო მისი ღირსეული მოწაფეები და მიმდევრები კიდევ უფრო განადიდებენ მას. ეს კეთილშობილური მისია იკისრა მისმა აღზრდილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ვახტანგ ლითანიშვილმა**. მისი მონოგრაფია **„აკადემიკოსი ვახტანგ წინამძღვრიშვილი"**, („ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა") ახლახან მიიღო ქართველმა მკითხველმა. იგი გამომცემლობა „მეცნიერებამ" დასტამბა. რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ტატიშვილი, რეცენზენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები პროფესორები ირ. ჰუმბურიძე, ლ. ტყემალაძე.

ავტორი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ჯეროვნად და ყოველმხრივ ასახავს დიდი ადამიანის ღვაწლს და ამაგს ქართული მედიცინის მეცნიერებათა განვითარებაში, კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა შესწავლასა და მკურნალობის მეთოდიკის ჩამოყალიბებაში, რომელსაც დღესაც იყენებენ ჩვენშიც და უცხოეთშიც.

მონოგრაფიის ავტორმა ეს სამუშაო დიდი ცოდნითა და თავისი აღმზრდელისადმი ღრმა პატივისცემით შეასრულა. ნაშრომს საინტერესოს ხდის ბრწყინვალე მხატვრული პასაჟები და დახვეწილი ლიტერატურული ფორმა, ლაზათიანი ქართული. მას ამდიდრებს ცნობილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებები და გამონათქვამები დიდ ქართველ მეცნიერზე.

# სისხლის წვიმების დროს...

**საქართველოს** პარლამენტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტში ტრადიციად იქცა დათქმულ დღეს (თვეში ერთხელ) მეცნიერთა შეკრება, სადაც იმართება სჯა-ბაასი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებზე.

ამას წინათ, მეცნიერთა სერიოზული მსჯელობის საგანი იყო 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტის განხილვა, სეპარატიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა და სხვა.

გამოთქმული მოსაზრებები, მნიშვნელოვანი წინადადებები და შეხედულებები წარედგინება საქართველოს პარლამენტს და სახელმწიფოს მეთაურის აპარატს.

შეკრებაზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლევან თოიძემ ფაქტებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოადგინა აქტუალური მოხსენება „აფხაზეთის სტატუსის შესახებ 1921-31 წლებში". ამ პრობლემის გარშემო დღესაც წარმოებს კამათი ქართველებსა და აფხაზურ მხარეს შორის. აფხაზებს მიაჩნიათ, რომ ლენინის დროს აფხაზეთი იყო სუვერენული სახელმწიფო. შემდეგ სტალინმა უხეშად დაარღვია ეროვნული პოლიტიკა და წაართვა აფხაზეთს ეს სტატუსი.

ამიტომაც, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთის 1921-1931 წწ. სტატუსში გარკვევა ერთობ დროული იყო. მომხსენებელმა მეცნიერულად გააანალიზა ის პერიოდი, როცა აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ეს იყო სისხლის წვიმების დრო, საკითხი ასე იდგა: ვინ ვის, რევოლუციას სჭირდებოდა ხალხთა მასების თანადგომა — გასაგები ლოზუნგების მოშველიება, რომელსაც ისინი მხარს დაუჭერდნენ: თვითგამორკვევა, ეროვნული თავისუფლება და სხვა (იმ ხანად რუსეთსა და კავკასიაში შეიქმნა ასეთი რესპუბლიკები: დონის საბჭოთა ხელისუფლება, ყუბან-შავიზღვისპირეთის რესპუბლიკა და ა. შ.).

პოლიტიკურად და ეკონომიკურად აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოზე დამოკიდებული.

ყველა რეგიონული და საერთაშორისო-საკავშირო, სახელმწიფოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებებში აფხაზეთი შედიოდა საქართველოს მეშვეობით — როგორც მისი ნაწილი.

დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის და 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენიებულია, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

რუსეთს აფხაზეთთან, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან არ გაუცვლია წარმომადგენელი. წარმომადგენელთა გაცვლა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს შორის მოხდა. აფხაზეთი არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი და ა. შ.

აღნიშნულ პრობლემაზე ისაუბრეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეებმა მერაბ გოგუაძემ, ბადრი მეჩხიამ, ვანო შენგელიამ, სწავლულმა მდივანმა სიმონ კილაძემ, განყოფილების გამგეებმა გელა საითიძემ, მამუკა კარტოზიამ, მეცნიერ თანამშრომლებმა გიორგი კაპანაძემ, სულიკო კვაჭაძემ, კარლო გოგსაძემ, ღვთისო არჩემაშვილმა და სხვებმა.

მეცნიერებმა აზრი გამოთქვეს, რომ მოსკოვში გამომავალ გაზეთში „გრუზია", სობიტია, ფაქტი", რომელიც ეგზავნება რუსეთის ქალაქებს, რუსეთის ყველა სამინისტროსა და შესაბამის უწყებებს, გამოქვეყნდეს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა.

**თინა ზარგინავა.**

მოულოდნელად
10 ივნისიდან
თუ გსურთ [illegible] გაყიდოთ [illegible]
წარმოების და [illegible] ავტომანქანები-
[illegible]
მობრძანდით
„ავტოვაზის" ტერიტორიაზე
ორგანიზებულ ბაზრობაზე.

ყურადღება, მეცენატებო!

# შევეწიოთ „ქართულ ანბანს"

**„ქართული ანბანი" — მომავალი ვიდეოფილმის სახელწოდებაა. ჯერჯერობით, მეოთხედიც კი არ არის გადაღებული ამ ფილმისა, და შემოქმედებითი ჯგუფი, იძულებული გახდა, უსახსრობის გამო, მუშაობა შეეწყვიტა.**

არადა, თავიდან, თითქოს, ყველაფერი კარგად აეწყო. სცენარი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" მიხედვით დაწერეს ნუგზარ შატაიძემ და არმაზ ბურნაძემ, დადგმა ითავა რეჟისორმა არმაზ ბურნაძემ. დამტკიცდა ჯგუფი — დამდგმელი ოპერატორი ალექსანდრე ძაგანია, დამდგმელი მხატვარი გიორგი ლაფაური, პროდიუსერები — მალხაზ ასათიანი და პეტრე ხოჯავა.

სცენარით დიდად დაინტერესდა „კავკასიის ბანკი" და დააფინანსა კიდეც მომავალი ფილმი, მაგრამ, აი, უბედურება: მიმოქცევაში შემოვიდა ქართული კუპონი და „კავკასიის ბანკის" მიერ გამოყოფილი თანხა ისე გაუფასურდა, მხოლოდ რამდენიმე ნოველის გადაღებას ეყო.

რეჟისორი **არმაზ ბურნაძე**:

— თავიდანვე მხარში ამოგვიდგა „კავკასიის ბანკი"... ღმერთმა უშველოთ... ახლა კი — აგერ უკვე 8 თვეა — ველარაფერს ვაკეთებთ... ვინ არ შევაწუხეთ პროდიუსერებმა, ვის არ თხოვეს... ყველა გვპირდება დაფინანსებას, პრაქტიკულად კი, ჯერჯერობით არავის არაფერი გაუკეთებია... მხოლოდ მურმან ომანიძემ „გაიკრა ჯიბეზე ხელი" და გარკვეული თანხა მოგვცა... ოღონდ, ეს თანხა, სამწუხაროდ, მოსამზადებელ პერიოდსა და გადაღებების განახლებას თუ ეყოფა... დახმარების სურვილი გამოთქვა აჭარის კინოსტუდიამაც... ფილმში მონაწილეობს ერთადერთი მსახიობი ზურაბ ყიფშიძე (მასწავლებელს ანსახიერებს), რომელიც აჭარის კინოსტუდიის ხელმძღვანელობს და, ალბათ, შესაძლებლობის ფარგლებში რაღაცას შეგვეწევა, მაგრამ გასაჭირს ვერც უშველის...

**„ქართული** ანბანი" არ იქნება ჩვეულებრივი ფილმი. განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას საშვილიშვილოა მისი მიზანიც და დანიშნულებაც. იგი უპირველესად, გათვალისწინებულია ბავშვთათვის, ვისაც სურვილი აქვს შეისწავლოს ქართული წერა-კითხვა. ფილმი ვიდეოკასეტებზე გამრავლდება და, ჩვენი აზრით, დიდ დახმარებას გაუწევს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა ახალ თაობას, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში არსებულ ქართული ენის შემსწავლელ კათედრებს, ქართველოლოგებს... ის კი არა, როგორც რესპუბლიკის სახალხო განათლების სპეციალისტები აღნიშნავენ, ფილმი დიდ ინტერესს გამოიწვევს ჩვენთანაც — ნორჩებში, დაწყებით კლასებში... ამის დასტური კი არის, შესანიშნავი სიუჟეტები (ნოველები), რომლებსაც ფილმის ავტორები ურთავენ ყოველ ასობგერას. ამ ნოველებით ნორჩები გაეცნობიან მშობლიური ბუნების სურათებს, ეთნოგრაფიას, ადათ-წესებს, ხალხურ ცეკვებს, სიმღერებს, თამაშობებს...

ფილმი 32 ნოველისაგან შედგება („აი ია" ერთ ნოველაში მოექცა და, იმიტომ) თითოეული ნოველა 5-6 წუთს, ხოლო მთლიანად ფილმი — სამ საათს გრძელდება.

• • •

**მოდით**, „ქართული ანბანის" ლიტერატურული სცენარიდან, საჩვენოდ, ერთი ნაწყვეტი წავიკითხოთ.

„მასწავლებელი კითხულობს:

— **ძაფი.**

ქვემოთ გამოჩნდება მეორე წარწერა: **„ძა-ფი".**

მასწავლებელი დამარცვლით კითხულობს:

— **ძა-ფი.**

უფრო ქვემოთ ახალი წარწერა გამოჩნდება: **„ძ-ა-ფ-ი".**

მასწავლებელი თითს გააყოლებს და თან ასო-ასო კითხულობს:

— **ძ-ა-ფ-ი.**

ბოლოს გამოჩნდება ასო **„ძ".**

მასწავლებელი ასოს თითს დაადებს და ამბობს:

— **ძ.**

მერე მობრუნდება და იმეორებს:

— **ძ, ძ, ძ.**

ეკრანზე გამოჩნდება ოთხკუთხიანი ბადე, რომელშიც იწერება — **„ძ".**

ახლა ბადეში იწერება — **„ძაფი".**

ისმის მასწავლებლის ხმა:

— **ძ-ააა-ფ-იიი.**

ბოლოს მასწავლებელი შემობრუნდება და ამბობს:

— **ძაფი.**

იალღზე, ბაკის წინ ცხვარს პარსავენ...

რამდენიმე მწყემსი ერთდროულად მუშაობს, ყოველი მათგანი თავის ფეხსაკრავთან ჩაცუცქულა.

ერთი მპარსავი ცხვრის ნოტოში ჰედილას დაიჭერს, ფეხსაკრავ პალოსთან რქებით მიათრევს, უკანა ფეხებს პალოზე გამობმული ბაწრით შეუკრავს, ცალი ხელით წინა ფეხებს დაუჭერს, მეორეთი კი დუქარდს აიღებს და ჰედილას შეცვლს უპარსავს.

მერე ცხვარს პალოდან აუშვებს, კისერზე გადაკიდებული ბაწრით ოთხივე ფეხს ერთად შეუკრავს, ისე, რომ წინა ფეხები უკანებს შუა იყოს ჩაყრილი. ახლა პარსვას კისრიდან იწყებს — ცალ გვერდს ჩაჰყვება და თან დუქარდს ისე მიაყოლებს, როგორც კარგი მთიბველი ცელს. ნადუქარდალი სწორ, თანაბარ ზოლებად მისდევს ერთმანეთს.

...სანამ მეორე ცხვარს დაიჭერდეს, მპარსავი ჯერ ნაპარს მატყლს წამოკრავს ხელს, მიწაზე გადაფენს, ნაპირებს-მოუსწორ-მოუსწორებს და გრძლად დაახვევს. ერთი ხელით, რომ ასწორებს, მეორეთი ახვევს. გრეხს და ბოლოს ამ დაგრეხილ ნაპარსს მარცხენა ხელის მაჯაზე გადაიხვევს, ისე, რომ ნაპარსის ბოლოები ერთი ერთ ხელში უჭირავს, მეორე — მეორეში. მატყლს გრეხს და თან ხელზე იხვევს, ბოლოს ნაპარსის ბოლოები ერთმანეთთან მიაქვს და ორივე ბოლოს მარცხენა ხელით დაიჭერს, მერე იმ ხელს ნაპარსიდან ამოსწევს, ისე, რომ ხელსაც ამოაძვრენს და ნაპარსის ბოლოებსაც თან ამოიყოლებს. ნაპარსი გამოიკვანძება და იმ კვანძს მპარსავი სხვა კვანძების გროვაზე ზემოდან დადებს.

...მუშები მატყლით დატვირთულ საბარგო მანქანას სცლიან — დიდრონ ბარდანებს თუნუქით გადახურულ და მავთულის ბადით შემოღობილ უზარმაზარ საჩიხში აბინავებენ.

...სოფლის წყაროზე, ცემენტის ნავში დედაბერი მატყლს რეცხავს.

...ქარხნის სამრეცხაოში ორთქლის ბული ტრიალებს. ცხელი წყლით სავსე ავზში ნიაღვარივით ჩადის მატყლის ზვინები. წყალი ბუყბუყებს, ტრიალებს, ოხშივარს უშვებს. გარეცხილ-გატრიალებული მატყლი ტრანსპორტიორით საშრობისაკენ მიექანება.

...დედაბერი გასაშრობად გაფენილ მატყლს გვერდით მისჯდომია და თვლემს.

...ქარხნის საშრობში ვეებერთელა ვენტილატორები გუგუნებს. კამერაში რკინის მილებით შედის ცხელი ჰაერი და მატყლს აშრობს.

...დედაბერს ფეხებშუა საჩეჩელი ჩაუდგამს და მატყლის ფთილებს იღებს და ჩეჩავს.

...საჩეჩ საამქროში ელექტრო საჩეჩლები მუშაობს. ჰაერში მტვრის ბული ტრიალებს. დაჩეჩილი მატყლი კონვეიერით სართავ საამქროში მიექანება.

...დედაბერი თითისტარს ატრიალებს და ძაფს ართავს. უეცრად ნართს გამოშლის და ამბობს:

— **ძაფი!**

...საამქროში სართავი მანქანების ყურისწამღები ხმაური დგას — გარეცხილ-დაჩეჩილი მატყლისაგან აქაც ძაფს ართავენ. ხის ვეება კოჭებზე ძაფის უთვალავი წვერი იხვევა. მანქანებს შორის ნელა მოდის ცელის უფროსი. იგი ერთ დაზგასთან გაჩერდება, გაწყვეტილი ძაფის ბოლოს გადააბამს და ამბობს:

— **ძაფი!"**

• • •

**დამერწმუნებით**, მარტო ამ სიუჟეტში უამრავ სასარგებლო რამეს ნახავს და შეისწავლის მოზარდი.

რეჟისორი **არმაზ ბურნაძე**:

— რახან საშუალება გვაქვს, გვინდა მივაწვდინოთ ხმა ყველას, ვისაც შეუძლია პრაქტიკული დახმარება გაგვიწიოს. დაინტერესებულ პირებს ვაჩვენებთ გადაღებულ მასალას, გავაცნობთ სცენარს, რათა იცოდნენ, რას აფინანსებენ, ღირს თუ არა თანხის გაღება... ჩვენი ტელეფონებია: 744322 (11-დან 4-საათამდე); 951049 ან 290966 (4-დან ნებისმიერ დროს). საბანკო რეკვიზიტებია: საქბინსოცბანკი, სათაო ბანკი მფო 521017 ა/ა 002467886 კინოკომპანია „შემოქმედს" „ქართული ანბანის" შესაქმნელად.

• • •

**თუ გადაჭარბებული არ გამოვა, ვიტყვი: კახეტა კინოფილმიხა „ქართული ანბანი", შეიძლება, ბევრ ქართულ ოჯახში ისევე ინახებოდეს, როგორც „ვეფხისტყაოსანი", როგორც ანსამბლ „რუსთავის" სამოცი ხალხური სიმღერა", ინახებოდეს შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის... ,**

**ასეთ ეროვნულ საქმეს ნაღდად უნდა შევეწიოთ, „ფულიანო ქართველებო", მეცენატებო!..**

**ვილენ მარდალეიშვილი.**

### „სიხარულის" სიხარული

**დასრულდა** თბილისის 1993-94 წლების ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელმაც შვიდ თვეს გასტანა. შეჯიბრება ორ წრედ გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ დედაქალაქის სპეციალიზებული სკოლებისა და საფეხბურთო კლუბების 1981 წელს დაბადებული ფეხბურთელთა გუნდები: „დინამო", 35-ე სკოლა, „ავაზა", „მეტეხი", „სიხარული", „იბერი", „შევარდენი", „ალგეთი", „მამული", „ერლანი".

ჩემპიონატი შესანიშნავად წარმართა საფეხბურთო კლუბმა „სიხარული-94", რომელმაც ერთი შეხვედრა წააგო, სხვებში გაიმარჯვა, 39 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გუნდმა ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში — 67 და ყველაზე ნაკლები მიიღო — 16.

„სიხარულის" წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს კახა წუწუნავამ, გიორგი წოწკოლაურმა, ალექსი ბურჯანაძემ, დავით იაკობიძემ, ლევან მესხმა.

„სიხარული" ადრეც მრავალჯერ ყოფილა სხვადასხვა ტურნირების პრიზიორი და ორჯერ პირველი ადგილიც მოუპოვა. ეს კი გუნდის თამაშის სტაბილურობის მაჩვენებელია.

„საფეხბურთო კლუბი" „სიხარული-94" შექმნილია თემქის დასახლებაში ნაძალადევის რაიონის სპორტსკოლის ბაზაზე (დირექტორი დემურ პაფოძე — კლუბის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო ნაწილის გამგე — ფილიპე კოლესიძე), რომლებიც დიდად უწყობდნენ ხელს და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ გუნდის წვრთნას. ზამთრის ცუდი ამინდების დროს დარბაზს უსასყიდლოდ თმობდა 142-ე საშუალო სკოლა (დირექტორი — სოსო ლაგვილავა).

საფეხბურთო კლუბ „სიხარული-94"-ის პრეზიდენტია ნიაზი მარიამიძე, კლუბის დირექტორი — მალხაზ იაკობიძე, უფროსი მწვრთნელი — იუზა წილოსანი, გუნდის უფროსი — გურამ წოწკოლაური, მწვრთნელი — გივი წილოსანი.

კლუბს სპონსორობას უწევენ ფირმა „ხევძმარა" (პრეზიდენტი — რევაზ სანიკიძე) და ფირმა „სხივი-2" (პრეზიდენტი — მალხაზ იაკობიძე).

კლუბის მენეჯერია ფირმა „მამულის" პრეზიდენტი ზურაბ ფოლადაშვილი.

თბილისის 1994 წლის ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ლოლუა, ალექსი ბურჯანაძე, ლევან მესხი, დავით იაკობიძე, გიგა რურუა, ვახტანგ ფოლადაშვილი, კახა წუწუნავა, გიორგი წოწკოლაური, დავით მარიამიძე, გიორგი ლოთიშვილი, ფირუზ ბენდელიანი, ზურაბ კილაძე, ვახტანგ გურამიშვილი, კობა ჩიტაია, რომან წილოსანი, ვლადიმერ ბახტაძე.

**ანა ჯანიკაშვილი.**

### ზეიმი ბოლნისში

**ბოლნისმა** ზედიზედ მეხუთედ უმასპინძლა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მეკარის თეიმურაზ სტეფანიას სახელობის თასის ტრადიციულ გათამაშებას 1978-1979 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირს დიდი სასელექციო მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ასაკის ბავშვთა საქართველოს ნაკრები გუნდისათვის კანდიდატების შესარჩევად.



ხუთი კოლექტივის დავაში ყველას აჯობა და 100 დოლარი დაიმსახურა რესპუბლიკის ნაკრების სარეზერვო შემადგენლობამ (მწვრთნელები გაიოზ დარსაძე, გია მაისურაძე), რომელმაც ოთხივე მეტოქე დაამარცხა. მეორე პრიზიორმა — გორის „დილამ" ბურთების უკეთესი შეფარდებით გაუსწრო რუსთავის „მამულს" (მათ შესაბამისად 50 დოლარი და 50 ათასი მანეთი გადაეცათ).

20-20 ათასი მანეთით აღინიშნა ასპარეზობის საუკეთესო ფეხბურთელების ოსტატობა: მეკარე — ზვიად კუპატაძე (ნაკრები), მცველი — პაატა ფეზუაშვილი (გორი), ნახევარმცველი — შალვა ისიანი (ბოლნისი), ბომბარდირები — დავით მერებაშვილი (გორი), ტარიელ ფშორიანი (რუსთავი), ულამაზესი გოლი — ავთო ჯულიაშვილი (ბოლნისი), უმცროსი მოთამაშე — გიორგი იმედაძე (ქუთაისი), კორექტული გუნდი — ქუთაისი. ყველაზე ტექნიკურ ჭაბუკს — ნაკრების წევრს ლევან ბაჯელიძეს საჩუქრად ცხვარი ერგო.

შეჯიბრების სპონსორმა — ფირმა „კოკა-კოლა კავკასიონმა" (პრეზიდენტი — თემურ ჰყონია), ბოლნისის გამგეობამ (შოთა რეხვიაშვილი), სპორტკომიტეტმა (სტეფანიას კლასელი მურთაზ ხორძაძე), საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეზერვების განყოფილებამ (ჯუმბერ თანანაშვილი) და ადგილობრივმა მოსახლეობამ დაუვიწყარი ზეიმი უძღვნეს გულშემატკივრებს.

**ჭაბუა მახარაძე.**

### უძლიერესია „ერლანი"

**ახლახან** დამთავრდა 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მიხეილ მესხის სახელობის „სიჭაბუკის თასის" მორიგი გათამაშება. 62 გუნდის ტურნირის ნახევარფინალში „ერლანმა" (პრეზიდენტი გოჩა აბზიანიძე, მწვრთნელები გია მაისურაძე და ვლადიმერ ჩაჩუა) სძლია ხობის „კოლხეთს" (ლევან ლემონჯავა) 4:1, 3:0, ხოლო „თბილისმა" (რამაზ მუმლაძე, გია ზარიძე) მოუგო „დინამოს" (გელა გოძელაური) 1:0, 4:1.

ფინალში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების საბაზო კლუბების პაექრობაში „ერლანმა" 2:1 დაამარცხა „თბილისი" და საპატიო პრიზი მოიპოვა.

### „ივერია" კვიპროსზე

**კვიპროსიდან** დაბრუნდნენ ხაშურის „ივერიის" ფეხბურთელები, რომლებმაც ამ კუნძულოვან სახელმწიფოში ორი ამხანაგური მატჩი გამართეს ადგილობრივ უმაღლესი ლიგის გუნდებთან.

ქართულმა კლუბმა ერთი შეხვედრა ფრედ დაასრულა 4:4, მეორე კი მოიგო 3:2. შედეგიანად ითამაშა გივი ქობელაშვილმა (3 გოლი). სტუმართა თავდამსხმელი მამუკა მინაშვილი (მან 2 ბურთი გაიტანა) გასასინჯად ერთ-ერთმა ბერძნულმა გუნდმა მიიწვია.

ხაშურელთა პრეზიდენტმა აქვსენტი გოგოლაძემ ჩვენთან საუბარში განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მოიხსენია ავიაკომპანია „ორბის" გენერალური დირექტორი ვასილ ჯამბაზიშვილი (უზრუნველყო უფასო მგზავრობა ორივე მიმართულებით), თბილისის „დინამოს" ყოფილი ვარსკვლავი, ამჟამად კვიპროსზე მცხოვრები ვლადიმერ გუცაევი (მოაწესრიგა სასტუმროსა და ავტობუსის საკითხები) და თემურ ქეცბაია, რომელიც ყურადღებას არ აკლებდა ივერიელებს და მათი ხშირი სტუმარი იყო.

**ნანა ტომარაძე.**

გახსენება

## ნინო ოტიაშვილი-ჯანგულაშვილი

ჩვენო საყვარელო ნინო, ერთი წელიწადი გავიდა, რაც აღარ დაფუსფუსებ შენს ოჯახში. ძნელია ჩვენთვის უცრემლოდ ჩავუაროთ შენს სურათებს... ათას მოგონებას აღგვიძრავს შენგან ხელშეხებული ნივთები, ხანდახან კი განგებ თვალს ვარიდებთ მათ, რადგან მწუხარებასა და ტკივილს ველარ იტევს გული...

როგორ წარმოვიდგენდით შენს სიკვდილს... ვერ შევეგუეთ უშენობას, რამდენი სიყვარული და სითბო დაგვაკლდა... ყველაფერი ვიღონეთ შენი გამოჯანმრთელებისათვის, მაგრამ ვერ გიშველეთ... გვენატრები — მეუღლეს, შვილებს, ახლობლებს...

დრო ვერ მკურნავს ტკივილებს, კვლავ თვალცრემლიანი გიგონებთ, უზომოა ჩვენი სევდა და ნაღველი... შენი ხსოვნა ყველაზე ძვირფასი განძია, რაც კი დაგრჩა. დარწმუნებული ვართ, შენი სპეტაკი, ლამაზი სული ნათელშია და ესლაა ჩვენი ნუგეში.

მეუღლე თამაზი, შვილები — ია და უჩა.

რეპლიკა

# ორი „ნ" სავსებით საკმარისია

**გუშინ**, დაიწყო თუ არა პარლამენტის სხდომა, ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი „საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელ, 7 ივნისის ნომერში დაბეჭდილი საქინფორმის ინფორმაციის „ინციდენტი ჩხოროწყუში" გაბათილებას შეუდგა.

რამდენად დეზინფორმაციულია გამოქვეყნებული მასალა და რამდენად სწორია ბატონ ა. ასათიანის მიერ პარლამენტის სხდომაზე წარმოდგენილი განმარტება, იმან არკვიოს, ვისაც კანონით ეკუთვნის ამის გაკეთება, რადგან, როგორც იგივე ინფორმაცია გვამცნობს, „მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება".

ჩვენ სხვა გარემოებამ აგვაღებინა ხელში კალამი.

ბატონმა აკაკიმ, რომ იტყვიან, მამაშვილურად გაზეთი დატუქსა, სათაურშივე შეცდომა გაქვთ დაშვებულიო, გიწერიათ „ინციდენტი ჩხოროწყუში", „ინცინდენტი" კი უნდა იყოსო.

ეშმაკს არ სძინავს, ვაი, თუ მართლა ღმერთი გაგვიწყრა და უვიცობაში დაგვიჭირეს! ვეცით ყველა ლექსიკონს, რომელიც კი რედაქციაში გვქონდა და მართლები აღმოვჩნდით: „ინცინდენტი" კი არა, „ინციდენტი": სამში ერთი „ნ" ზედმეტია!

რას იზამთ, ბატონო აკაკი, შემდეგ სხდომაზე? ასევე საჯაროდ გაგვამართლებთ, თუ ძალაში დატოვებთ თქვენს ბრალდებას?

**„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის მორიგე კორექტორები.**

EXPRESS CENTRE
ექსპრეს ცენტრი
მშობელთა საყურადღებოდ!
ლონდონის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა გრინჰილ კოლეჯი იწვევს 17 წლამდე ასაკის ბავშვებს საზაფხულო ფასიან კურსებზე
თქვენი შვილები 3 კვირის განმავლობაში
- გაივლიან ინგლისური ენის სწავლების ინტენსიურ კურსს;
- იცხოვრებენ ლონდონელთა ოჯახებში, სადაც მათ არ მოაკლდებათ მზრუნველობა;
- უზრუნველყოფილი იქნებიან სამჯერადი კვებით;
- დაისვენებენ, გაერთობიან, დაათვალიერებენ ლონდონს
ჯგუფები კომპლექტდება "ექსპრეს-ცენტრში"
ტელეფონები: 955-399, 956-356, 222-936.
ი ჩ ქ ა რ ე თ !
პირველი ჯგუფი გადის 7 ივლისს

პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს. კ. ინსტიტუტი და პედიატრიის ს. კ. ინსტიტუტი
აცხადებენ, რომ ა. წ. 14 ივნისს 13 საათზე

ექიმი გ. თევდორაშვილი საჯარო პაექრობაზე დაიცავს დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე
„მშობიარობის მიმდინარეობის კლინიკურ-ფიზიოლოგიური დახასიათება აუტოფონოანალგეზიის დროს".

თბილისის მენეჯერთა სკოლა
ატარებს მეცადინეობებს თემაზე "საბანკო და საბირჟო ოპერაციები", რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: კომერციული ბანკების, საინვესტიციო და საპენსიო ფონდების, სატრასტო კომპანიების შექმნა და საქმიანობა; ოპერაციები ფასიან ქაღალდებთან; სავალუტო ოპერაციები; რუსეთისა და საქართველოს საფინანსო ბაზრები.
მეცადინეობა მოეწყობა ორი კვირის განმავლობაში, დასვენების დღეებში. სწავლება ფასიანია. გაიცემა სერტიფიკატი. დასაწყისი 11 ივნისს.
ჩვენი მისამართია:
ვაჟა-ფშაველას 40, ოთახი 612.
ტელ: 37-13-72.

განცხადება
ფირმა „ქორი" შეისყიდის საქართველოს საინვესტიციო კორპორაცია „სასკოს" ოქროს აქციებს.
მისამართი:
თბილისი, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. №41.
ტელ: 66-33-03, 66-31-18.

იყიდება
ავტომანქანა "ზიმ-12" ძალიან კარგ მდგომარეობაში. შავი ფერის. გამოშვების წელი 1955. ძრავი და გადაცემათა კოლოფი გაზ-24-ის. სავარაუდო ფასი 2500 დოლარი. ტელ: 95-43-69 ან 39-86-11.

მთავარი რედაქტორის მოადგილე რუსლან რუსია
ინდექსი 66484